


1676
1921



სახალხო გვარდიელი

№ 2 სახალხო გვარდიის მეთავარი უბაზის ორგანო. № 2



კარლ კატსუნი. გამგზავრების გამო.

ქურნალი „სახალხო გვარდიელი“.

ამერიიდან — ჯერ-ჯერობით თვეში ორ-ჯერ და შემდეგ სისტემატიურად იქნება გამოცემული სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ორგანო „სახალხო გვარდიელი“, ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სახალხო გვარდიის რაზმებში სოციალისტურ, დემოკრატიულ, პოლიტიკურ მოძღვრების განვითარებას, გაძლიერებას, გამტკიცებას.

თავის ხანმოკლე, მაგრამ ძვირფასი მოძრაობით სახალხო გვარდიამ ჩვენს ისტორიულ მიწინააღმდეგეებში მტკიცე სამხედრო განწყობილების ხანა შექმნა, მდიდარი მასალებით.

ამ სამხედრო მოძრაობას თან ახლავს საზოგადოებრივი განვითარება, შემოქმედება, ცხოვრების სინამდვილე და კულტურული წინსვლოვნობა სახალხო გვარდიის ში. და ამ მოძრაობას ჟურნალმა თავისი გამოხატულება, დასრულებული სახეობა უნდა მისცეს.

თვისი სამხედრო და საზოგადოებრივი მუშაობით სახალხო გვარდიამ მისცა ისტორიას მდიდარი მასალები, რომლითაც ჩვენი ქვეყნის მძიმე და საომარი ეპოქები აღვსილია: და ჟურნალმა ყველა ამ მასალებს თავი უნდა მოუყაროს, რომ მითნათელი დარჩეს მომავალში მემორიანული თვის სახალხო გვარდიის თანამედროვე ისტორიული მოძრაობა.

სახალხო გვარდია და მისი ხელმძღვანელი მთავარი შტაბი რომელიც წარ-

მოიშვა მუშათა კლასის რევოლუციონური ტალღების წიალიდან და სოფლის მშრომელი ხალხის გულიდან—თავისი ბრძოლით, სისხლით ემსახურება სახალხო მოძრაობას, ხალხის ინტერესებს; იბრძვის დემოკრატიული წესწყობილების გასმატკიცებლად და წინ გზას იკაფავს საუკეთესო მომავალსაკენ—სოციალიზმისაკენ.

სახალხო გვარდიის ისტორიული, საზოგადოებრივი მოწოდება, მისი ნათელი მისია ასეთია და მისი ჟურნალიც ამ იდეების ქადაგებას შეუდგება, ემსახურება.

თანამედროვე მსოფლიო მოვლენების ახსნა-განმარტება, სოციალისტური მოძრაობის გაშუქება, სახალხო გვარდიის ანუ მუშათა კლასის შეიარაღებულ ძალების საერთაშორისო მოძრაობაში ჩაბმა და მისი მიზნების განმარტება, საქართველოს სახალხო გვარდიის საისტორიო მასალების დამზადება, სახალხო გვარდიელ ლიტერატორების შემოკრება და გზის ჩვენება; ოფიციალურ და საჭირო ცნობების განმარტება, მხატვრულ ნაწარმოების განვითარება—აი, მთავარი შტაბის ორგანოს მიზანი, მისი პროგრამა.

ამ მიზნების განსახორციელებლად იწყებს გამოსვლას ჩვენი ჟურნალი.

თანამედროვე პირობები მეტათ მძიმეა და ძნელი ამ მუშაობისათვის, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს: ყოველგვარ დაბრკოლებას ვსძლევეთ და ჩვენი ჟურნალი „სახალხო გვარდიელი“ ამ საერთაშორისო ბუნდოვან ხანაში, სწორი ხაზით, სწორი მიმდინარეობით თავისი ძალებით შეასრულებს თავის ვალს და მისი ჭეშმარიტი ხმა იქნება ძლიერი.

ის შემოიკრებს საქმიან ძალებს, გამოიწვევს თავისებურ გამოცოცხლებას და გახდება საყვარელი ყველასთვის.

მიმდინარე მომენტი მრავალ შრომას და საქმიანობას გიკისრებს. ჩვენი ვალია ავასრულოთ ის, რასაც ცხოვრების კანონი გვიბრძანებს. ეს ასრულება ძნელია თუ მოვლენებში გარკვეული არა ვართ.

ბეჭდვითი ორგანო ამისათვის აუცილებელი იარაღია და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ეს ნაბიჯიც მიზანშეწონილია.

მისი ორგანო „სახალხო გვარდიელი“ დაეხმარება ჩვენს სახალხოგვა რდიელებს, ყველა სიხარულით შეეგებება ამ მუშაობას და დახმარებას გაგვიწევს.



ორი წლის წინათ.

(ვალიკო ჯუღელის წიგნიდან „Тяжелый крестъ“)

30 დეკემბერი 18 წ. ეკატერინოფელი. ნაშადამევის 2 საათი.

გუშინ მთელი დღე გაძლიერებულ დაზვერვაში ვავატარეთ. ეხლა მივდივართ ბოლნის-ხაჩინისკენ. იქ უთუოდ თავს იყრის მოწინააღმდეგეთა საგრძნობი ძალები და ისინი ჩვენ უნდა ვავანადგუროთ. ჩვენ გვაქვს რვა ზარბაზანი, სამოც და სამი ტყვიის მფრქვეველი, გვყავს ათასამდე მეომარი. მთელი ჩვენის ენერგიით და ძლიერებით გადავალთ შეტევაზე! დრო არ ითმენს!

გუშინ ბედნიერი დღე იყო: ჩვენმა რეგულიარულმა და სახალხო გვარდიის ნაწილებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგე შულავერთან. აიღეს შულავერი, ჩაიგდეს ხელთ 4 ზარბაზანი, 15 ტყვიის მფრქვეველი და სხვა მრავალი დავლა. ამ ცნობამ გაგვაძნევა და ფრთები შეგვასხა ყველას. მე მუდამ მღელვარებას განვიციდიდი შულავერის რაიონის გამო. ეხლა ჩვენი ხელები გახსნილია და გამარჯვებაც უზრუნველყოფილი.

30 დეკემბერი 18 წ. ბოლნის-ხაჩინის მწერვალეზზე. შუადღე.

გათენებამდე ჩვენ ვუახლოვდებოდით მოწინააღმდეგეს. დილის 7 საათზე გაჩაღდა ცეცხლი. მოწინააღმდეგეს კარგი მალლობები უჭირავს და ის ზარბაზნებიდან და ტყვიის მფრქვეველებიდან გვიშენს. ჩვენ ვაწარმოებთ შეტევას ფართო ფრონტით, მოწინააღმდეგეს ფრთების შემოვლის განზრახვით. მარჯვენა ფრთაზე შეტევას აწარმოებენ სამტრედიელები, კახელები და ფედერალისტები,—ცენტრში კადრის და ტფილისის სარეზერვო ბათალიონი, მარცხნივ უფლის ცხენოსანთა დივიზიონი გურულებით. ეხლა სწარმოებს საარტილერიო დუელი. მოწინააღმდეგეს არტილერია მოხერხებულად გვიშენს და ერთი ჩვენი ბატარეა ყუჩდება. მან უნდა შეიცვალოს პოზიცია.

დღე დიდებულია. სამ თვილყურეო ადგილიდან თვალწინ იშლება ჩინებული სანახაობა. ბინოკლში შეიძლება დაინახო ბოლნისის დამცველები. ისინი დაფუსფუსებენ. სჩანს ნერვიულობენ.

მე საშინლად მომშივდა და დავილაღე. უნდა იყო ფრონტის ყველა უბნებში და ფეხები ძლივს მემორჩილებიან.

ზარბაზნები გრიალებს. ყუმბარები ყოველ მხრივ სკდება. მე საშინლად ძილი მერევა.

31 დეკემბერი 18 წ. ბოლნის-ხაჩინზე. დილის 4 საათი.

ჯერ კიდევ ბნელა. ეს ცივი ღამე მთელმა ჩვენმა რაზმმა ვაატარა პოზიციებზე—ცის ქვეშ და თითქმის გამდნარ თოვლზე. გუშინ მთელი დღე ბრძოლა არ შემწყდარა, მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით გამაგრებული ბოლნისის აღება. დღეს, აუცილებლად უნდა ავიღოთ ის! დროებით ზავის თანახმად, [დღეს, ღამის 12 საათზე, უნდა შეწყდეს სამხედრო მოქმედება. ამრიგათ—ჩვენ გვრჩება ძალიან მცირე დრო

და უამრავი საქმეები! უნდა მოვიკრიფოთ მთელი ჩვენი ენერგია, უნდა ვავაცხოველოთ მთელი ჩვენი გმირული სული და სიმამაცე. ჩვენმა ჯარმა უკვე სიღრმეში დასაბნალო. ეხლა რიგი ჩვენზეა. და ჩვენ უნდა მივართვათ ჩვენს ხალხს მშვენიერი სახალწლო საჩუქარი.

ვეცდებით!.. ღამით ჩვენთან მოვიდა ცაგურის ცხენოსან-სამთო ბათარეა და ილიკო ჩაჩიბაიას ბატარა გუნდი. ეს კარგია.

31 დეკემბერი 18 წ. ბოლნის-ხაჩინზე. დილის 11 საათი.

მედგარ შეტევას ვაწარმოებთ ბოლნისზე. ჩვენ ვავაჩაღეთ ხშირი ცეცხლი თორმეტი ზარბაზნიდან; ხმაურობენ ათეული ტყვიის მფრქვევლები და ამ ცეცხლით დაცული გადავიდა შეტევაზე ჩვენი სახელოვანი ქვეითა ლაშქარი. ალექსანდრე მიდის სამტრედიელებთან და კახელებთან, ჩვენი მამაცი იაკობ ხარაში წავიდა თფილისლებთან. ეხლა წყდება ბედი ბრძოლის, ჩვენი ბედი! იქნება გაპარჯვება!

31 დეკემბერი. 18 წ. ბოლნისთან. დღის 1 საათი.

ჩვენი შეტევა იყო ბრწყინვალე! მოწინააღმდეგე შეიძრა და უკვე გარბის, ამაოდ ცდილობს რომ გამაგრდეს უკანასკნელ მალლობზე. ეხლა ცაგურია მოსწრებულად ესვრის ამ მალლობებს. ჩემი ილიკო თავისი გუნდით ბოლნის-ხაჩინზე უკვე დაეშვა. მე მივწერე მას—გადასულიყო შეტევაზე. იგი მამაცი.

სახალხო გვარდიამ გაამართლა თავისი თავი. მან ბრწყინვალედ დაიჭირა რთული და მძიმე გამოცდა. მე მოხარული ვარ, კმაყოფილი, ვითომდა თითქმის ბედნიერიც, მხიარული დასასრულია ახალი წლის. რა იქნება შემდეგ?

რამოდენიმე საათის შემდეგ ვიქნებით ბოლნისში. ეს აშკარაა. ყველა ნაწილები ჩინებულად იჭერენ თავს და ყოველგვარ ქების მალა დგანან.

ეხლა ჩვენები კვლავ გადავიდენ შეტევაზე „ვაშას“ ძახილით! მამაცი არიან!

1 იანვარი 1919 წ. ეკატერინოფელი. დილა. ახალი წელია! ნათელი, ბრწყინვალე და მხიარული დღესასწაული. როგორი ჩინებული დღეა და როგორი დიდი, გადამწყვეტი გამარჯვება! გვარდიას გუშინ საგანგებოდ ეჭირა თავი. ასეთი მამაცური და თავგამოდებითი შეტევა ჯერ ჩვენ არ გვქონია. „ვაშას“ ძახილით, მტკიცედ დარწმუნებულნი ვამარჯვებაში შეხმატკბილებულად გადავიდენ ჩვენები შეტევაზე ორჯერ უფრო უძლიერესი მტრის წინააღმდეგ, რომელსაც ეკავა ძლიერი პოზიციები—და ზარ-დაცემული ვაქციეს ის! მართალია—მტერი ხანგრძლივ, შეუპოვარად და კარგათ გვიწევდა წინააღმდეგობას, რამოდენიმეჯერ კიდევაც შეეცადა გადმოსულიყო კონტრ—შეტევაზე, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ის უნდა სასირცხოდ გაქცეულიყო! და ჩვენ ვავიმარჯვეთ. ჩვენი არტილერიისტები და ტყვიისმფრქვეველების მსროლელები იდეალურად მუშაობდენ. ყუმბარები სკდებოდა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



26503

1) ნ. ნ. შორდანია (საბატო თაფჯლომარე), 2) ვ. ჯუღელი (თაფჯლომარე), 3) ალ. დგებუაძე (თაფჯლომარისშაბე), 4) ს. ჯიბლაძე (საბატო წვერ-), 5) ვ. ჯიბლაძე (თაფჯ. აშხ.), 6) ან. ჭიბრიჭიანი (თაფჯ. აშხ.), 7) დ. საღარაშვილი (თაფჯ. აშხ.), 8) რ. ალშტროვი (მდივანი), 9) გ. ფაღვალი (მდივანი), 10) ალ. ფარნოვი, 11) ი. არ-ტივაძე, 12) ზ. გურული, 13) ვ. გოგეშვილი, 14) ემ. ხირბილიძე, 15) ი. ხარაში, 16) თ. შენგელია, 17) ვარლიანი (ტ. პარკოსაძე), 19) ლ. რუხაძე, 20) ვ. მუხარინსკი.

მოწინააღმდეგეს თხრილებში, ტყვის მქრვე-
ველები კი თავის ცეცხლიან რკალში იტა-
კებდნენ მას. და გამარჯვება სრული აღმოჩნ-
და! ბოლნის-ხაჩინში ჩვენ ხელთ ვიგდეთ ტყვე-
ები, ტყვის—მრქვეველები, სამხედრო საწ-
კობები „ობოზი“ და ყოველგვარი სხვა სიკე-
თე. იმათი შტაბიც ადრე და ვაჟაკურად
გაქცეულა!
ბოლნის-ხაჩინიც იყო დიდი და ძალიან
დადარი სოფელი. განსაკუთრებით მრავალია
ქ კარგი, ძველი ღვინო. და ეს საშიშია.
ჩვენ ვაფიქრებთ! კარგია, როდესაც გა-
მარჯვებული ხარ; გამარჯვებული სულგრძელი
უნდა იყო. და უნდა შეუმსუბუქო გასაჭირი
გამარჯვებულთ. მაგრამ ეს ისე ძნელია, თი-
ქმის შეუძლებელი!
ეს აღემატება ადამიანის ძალას! ვინაიდან
ეომარში სძინავს ადამიანობა და იღვიძებს
ხეცი.

დღეს ბოლო მოელო ამ უბედურ ომს. და
თუმცა სამწუხაროა, რომ დროებითი ზავი
უდროოდროს ამოტივტივდა, ვინაიდან გა-
მარჯვება საგრძნობლად გადმოიხარა ჩვენკენ,
მაგრამ შეიძლება ეს საუკეთესოც იყოს.
ვინაიდან არაფერი არ არის ომზე უსაზიზ-
რესი, მასზე უბოროტესი და ძლევამოსილ
ომებსაც მოაქვთ უბედურება! ამიტომ ყო-
ველგვარი ომი უნდა აღმოფხვრა, მოკლა.
საზღვრების საკითხი გადაიჭრება არა აქ
და არა ამ გზით. მაგრამ ჩვენ იძულებული
ვიყავით აგველო მახვილი! და გულნატკენნი,
მაგრამ გამარჯვებაში მტკიცედ დარწმუნე-
ბულნი ამოვიღეთ ის ქარქაშიდან! და და-
ვამტკიცეთ, რომ ჩვენს მახვილს შეუძლია
გამარჯვება. პირადათ ჩემთვის ეს საბუთი
განსაკუთრებული ღირებულებისაა. ლორის
საკითხი კი დგება მესამე რიგში. და ვაწარ-

მოებთ ჩვენ ამ ომს არა სომხეთის ხალხის
წინააღმდეგ, არამედ წინააღმდეგ სომხეთის
იმ მებრძოლ ნაციონალიზმისა, რომელიც
თავისი მოწამული იარაღით მიმართულია
სომხეთის ხალხის წინააღმდეგ. და თუ ჩვენი
გამარჯვებით ოდნავ მაინც შევარყიეთ ეს
ბოროტი ნაციონალიზმი—ჩვენ გავხდებით
სომხეთის ხალხის საუკეთესო მეგობარი.

1 იანვარი 19 წ. წმ. ნიკოლოზის სოფ. ქვეში
—ციხე. შუადღე.

დღეს დროებით ზავის პირველი დღეა.
ამინდი საუცხოვოა და მოსჩანს შორეული
ლამაზი ჰორიზონტი. ჩვენ გავასწორეთ ჩვენი
ხაზი. ეხლა ცხენოსნები უახლოვდებიან ტაბა-
ხმელას. ჩვენ ვხედავთ მის მწყობრ მოძრაო-
ბას, ვხედავთ მთების ლამაზ პეიზაჟებს. ციხე
ძალიან ძველია, ძლიერი და ორიგინალური

სახალხო გვარდიის
ბიბლიოთეკა

ის თითქმის მიუვალა. აქედან სომხებისგან უკანასკნელად თავს იცავდა გენერალი ციციანოვი ერთ-ერთ ვადარჩენილ და სასწაულოთ გამოტანილ ზარბაზანით.

სროლა შეწყდა. ყოველმხრივ სიჩუმე. გუშინ კი ამ დროზე მე ოდნავ ვლილადი. და როდესაც ჩვენ შორეულად გადავიდით, ცეცხლისგზობა იქცევა გასწვავ ჩემი გონება: „ერთი ცვანახოთ და შეშინდენ ჩვენები!“ მაგრამ ამ აზრმა მხოლოდ ვაიფლვა და გაქრა. უფალოდ!..

დღის შულავერიდან მოვიდა ჩვენთან ათასამდე სახალხო გვარდიელი, ეხლა კი ისინი აღარ გვიჩინებიათ. უფრო აღრე რომ მოსულიყენ! ჩვენი გამარჯვება იქნებოდა უფრო სრული, გამანადგურებელი მტრისათვის.

ქიეში ქართული სოფელია.

1 იანვარი 19 წ. ხოფ. ტაბახმელა. საღამოს 5 საათი.

ჩვენი ცხენოსანთა დივიზიონი ტაბახმელაში სდგას. მოწინააღმდეგე არსაით სჩანს. ცხაღია, ის სავსებით დაშლილა და მოუხედავად გარბის! დამარცხებულთა პსიქოლოგია მუდამ შესაბრალოსია....

ეხლა ჩვენ ვავიმარჯვით...

ტაბახმელა ქართულ-სომხური სოფელია. ყველა მცხოვრებლები იქვე დარჩენილან. მე სიამოვნებით ვხედავ, რომ აქ ქართველები და სომხები კეთილ მეზობლებურ განწყობილებებში არიან.

1920-1921

კიდევ ერთი წელი მოშორდა დროთა ბრუნვას და ისტორიას გადაეცა.

როგორც საქართველოსათვის, ისე მსოფლიოს ხალხისთვის.

ყველა წელზე უფრო მძიმე იყო თავისი შედეგებით გასული წელი.

მოკლე საგაზეთო წერილში ძნელია აღნიშვნა იმ ისტორიულ, საზოგადოებრივი მოძრაობისა, რომელიც განვლო კაცობრიობამ, 1920 წელში.

ყველა, ის არაჩვეულებრივი მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ გასულ წელს, წარსულ ისტორიას არ ახსოვს.

არც ერთ ეპოქის მატთანში არ იბოვნება...

მსოფლიო ხალხთა დამოკიდებულება გასულ წელს თანდათან გამწვავდა. საერთაშორისო ომის შედეგებმა შესაფერი ნაყოფი გამოიღო და დაქანცულ კაცობრიობას, მშრომელ ხალხს მოსვენება არ მისცა.

კაცობრიობის ყურადღება გასულ წელს მიქცეული იყო საერთაშორისო მშვიდობიანობისკენ, ზავისკენ.

ყველა ზავის დამთავრებას მოელოდა. მშრომელი ხალხი საბედნიერო, კაცთაშორის მყუდროების და ძმობით, ტკბილ სიყვარულით სავსე ჟამის მოლოდინში იყო. დაღლილი ქვეყანა წყნარ პირობების საზღვრებში ფიქრობდა მოქცევას.

გამარჯვებულმა ქვეყნებმა, ინგლისმა ამერიკამ, საფრანგეთმა, იტალიამ და იაპონიამ,

რომლებმაც შემუსრეს და ბრძოლის ველზე დასცეს მოწინააღმდეგეთა კოალიცია თავიანთი ინტრიგებით, ძირითადი ინტერესებით გაამწვავეს საერთაშორისო მდგომარეობა და მით გაახანგრძლივეს ზავისა და მშვიდობიანობის საკითხი.

გასულმა წელმა უდიდესი როლი ითამაშა კაცობრიობის ისტორიაში თავისი არაჩვეულებრივი ცვალებადობით. კითხვა, რომელიც ცხოვრების აუცილებლობამ დააყენა, რომელიც მხოფლიო ომის მწვავე წინამდებრებათა საშოდან წარმოიშვა—საერთაშორისო კითხვების მოწესრიგების შესახებ, არამც თუ ჰოვა თავისი შესაფერი გზა, შეთანხმებული საზღვარი, თვისი მიმდინარეობის სწორი გამოხატულება, არამედ სრულიად არეული, გართულებული და მძიმე შედეგები დაუტოვა გასულმა წელმა ახალ წელს...

გამარჯვებულ იმპერიალისტურმა ქვეყნებმა ომი დაასრულეს, ომი მოიგეს, ქვეყანა დაიპყრეს, მხოლოდ ზავი ვერ ჩამოაგდეს და გასული წელი გათავდა მხოლოდ ისევ ლოდინში.

ევროპის იმპერიალისტურმა ქვეყნებმა გასულ წელს დამარცხებულ ქვეყნებისათვის მათი ულმობელი განზრახვა და მკაცრი სასჯელი სისრულეში მოიყვანეს და ამ მხრით მიზანს მიღწიეს. დიდი და ნაყოფიერი იყო მათი შურისძიებით აღსავსე მუშაობა. თითქმის ყველაფერი შეასრულეს.

მხოლოდ ის კი, რაც კაცობრიობას აფიქრებდა, რაც კაცობრიობისათვის აუცილებელი იყო, რაც ქვეყნებისათვის ნორმალური მდგომარეობას გაამტკიცებდა და ახალ განვითარებას ნიადავს მოუშალებდა—ეს კი ვერ შექმნეს, ვერ მოიპოვეს და ვერ გაატარეს ცხოვრებაში.

შეთანხმება ვერ მოახდინეს, გამოსავალი გზა ვერ იპოვეს, სადავო საკითხები ვერ გადაწყვიტეს, ერების უფლება გასთელეს, მისი პატივისცემა, ღირსება, სამართლიანი მოთხოვნილება უკუაგდეს, პირიქით ახალი და საშინელი არეულობა გამოიწვიეს და თავიანთი ინტერესების მსხვერპლი გახადეს პატარა და თვისი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხები.

მხოფლიო იმპერიალიზმმა გასულ წელს თავის უარყოფითი, მტრული, შეუბრალებელი მტაცებლური, შურიანი და გაუმაძღარი პოლიტიკა სავსებით გამოაშკარავა პატარა ერების ზავის და მშვიდობიანობის მიმართ და გასული წელი მეტად ცუდი მოგონება დარჩება ამ მხრით მომავალ ისტორიისათვის.

გასული წლის მიმდინარეობა, მისი მოვლენები და უდიდესი ტრიალი მარტო გამარჯვებულ იმპერიალიზმის—ანტანტის ძლევა მოსილ ინტრიგებით არ ხასიათდება, არამედ მას უფრო სხვა მხარეები ასუდგმულბენ, სხვა მდიდარი ამბები აღამაზებენ.

გამარჯვებულმა იმპერიალიზმმა თავისებური კვალი დასტოვა გასულ წელს ჩვენს ცხოვრების მოგონებაში.

გასული წელი ვახდა ძვირფასი საღარო და უღვეველი ინტრიგების და ამ ინტრიგების უმანკო მსხვერპლი შეიქმნა ხალხის დიდი ნა-

წილი და ისტორიულ პირობებისაგან განწირული პატარა ერები. გასულმა წელმა ანაგულად მშვიდად ცხოვრების მინიჭებისა, ბევრი ადამიანი გააბედურა ბევრი ხალხი დაარბია, ბევრი ქვეყნები დაანგრია, კიდევ უფრო გააძლიერა სისხლის ნაკადული. სიღატაკე, სიმშვილი, ხალხის დარბევა, აწიოკება, კვნესა-ვაება.

ცრემლი და ტირილი, და ამ მხრით ზღაპრულად გამდიდრებული ჩაცვენა ისტორიის სავანეში.

დატოვა ცუდი მოგონება, წყეული სახელი. უცნაური თარიღი.

თუ მისი წინა ვავლილი წლები ხასიათდებიან კაპიტალისტურ იმპერიალისტების ავანტიურისტულ მოძრაობით, გასულმა წელმა მომაფალი თაობის გასანცვიფრებლად ახალი და საშინელი ფურცელი შეიტანა ისტორიაში—წითელი იმპერიალიზმის სახელწოდებით, აღნიშვნით. წაუშლელ ასოების წარწერით.

ორი იმპერიალიზმი—თეთრი და წითელი, ყვითელი და შავი გასულმა წელმა დაამორა ერთი მეორეს მეტოქეობის და უფროსობის ძირითად მოტივების წადგმაზე, მხოლოდ გაართიანა უმთავრესში—ე. ი. სუსტ და პატარაების ჩანთქმის სურვილებში.

იქ, ევროპაში მსოფლიო ომის მეთაურმა კლასმა დაიმორჩილა მშრომელი ხალხი, თავის იმპერიალისტურ მოძრაობას ანაცვალა ხალხის მომავალი კეთილდღეობა.

იქ, წითელ რუსეთში წითელმა კომუნისტებმა დაიმორჩილა მუშათა კლასი: სისხლის მორევში ჩახხრჩო მისი მაღალი მიზნები და ძვირფასი თავაზიანობის უდიდესი ზრახვები. მის დიქტატურის ინტერესებს ანაცვალა მთელი ხალხის ინტერესები და გააპარტახა მისი მომავალი შემოქმედება, მისი სულიერი, კულტურული და საზოგადოებრივი ძალები.

წითელ იმპერიალიზმმა თავისი ბარბაროსობით დავიწყებას მისცა სხვა ტიპის იმპერიალიზმი და გასული წლის წითელ იმპერიალიზმმა თან წაიღო რუსეთის ხალხის სხეული დასერილი გული და განთავისუფლებულ მთიელთა რესპუბლიკის ჯოჯოხეთური საშინელება, ადერბეიჯანის, სომხეთის თავისუფლება.

გასულმა წელმა მოგვცა უსაშინელესი ფორმა ველური იმპერიალიზმისა, რომელმაც თვისი სისხლიანი კალმით დასწერა ამიერკავკასიის ხალხთა ხოცვა-ჟლეტის საშინელი ფურცელი და შექმნა ერთა დარბევის და განკითხვის საოცარი მხეცური ტრეღედიები.

გასულ წელს წყველა-ქრულვით, ნაღვლიანი ცრემლებით მოიგონებს დევნილი, წამებული, დარბეული და პარტახათ დარჩენილი ხალხი. გასული წელი იყო ყვითელ-თეთრ-შავ-წითელ იმპერიალისტთა სისხლიანი დღესასწაული. გასულმა წელმა თვისი დასრულებული სახე მისცა ევროპის იმპერიალისტებს.

გასულმა წელმა ამ მხრით ამართა თვისი საშინელი წამების ჯვარი იმპერიალისტების საღვთსასწაულად, მხოლოდ ახალმა წელმა უნდა ბოლო მოუღოს მას. გუშინ დღესასწაულობდა წითელი და თეთრი იმპერიალიზმი; დღეს უნდა დაიწეროს მისი სიკვდილის განაჩენი.

სახალხო გვარდიის გაცემული წიგნი

გასული წელს ასრულდა მოლოდინი და ერთი უდიდესი მოძღვრება მდგომარეობისა მოხუცი კაუჭი ეწვია თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს...

გასული წელი დიდი ამბების, დიდი გამარჯვების, დიდი ისტორიის ფურცლებია საქართველოს ხალხის ისტორიული მოძრაობისათვის.

დიდ გამარჯვებებთან ერთად საქართველოს ხალხმა მძიმე გაჭირვებანი აიტანა გასულ წელს.

ირგვლივ მტრებისაგან ალყა შემოვრტყმული იყო, მას არ ეცალა შინაური ეკონომიური ცხოვრების მოსაწყობისათვის.

იყო და არის საერთო მდგომარეობისაგან გამოწვეული კრიზისები, გაჭირვება, ნაკლებობა სურსათის.

მაგრამ საქართველოს მუშათა კლასს ერთხელაც უკმაყოფილება არ გამოუხატავს, იტანს გაჭირვებას, რადგანაც დიდი იყო და არის მისი შეგნება და მოვალეობა ისტორიული.

საქართველოს მუშებმა გასულ წელს გაიარეს ეკლიანი გზა.

ავიდნენ მოქალაქის და სახელმწიფოებრივობის სრულ შეგნებამდე და ამ ძვირფასი განვითარებით, შეგნებით გადმოიარეს ახალ წელში.

გასული წელი იყო საქართველოსათვის თავისი შედეგებით მეტად გაუტანელი, მაგრამ ის გადაიტანა საქართველოს ხალხმა და ახალი წელი გათენდა საქართველოს მშრომელი ხალხისათვის საომარ მდგომარეობით,—ფრონტით.

გასულმა წელმა საქართველო გახვია ომებში, იმპერიალისტურ ქარცეცხლის ქარიშხალში გასულმა წელმა თავისი განაჩენით გასწირა საქართველოს ხალხი, მაგრამ საქართველოს ხალხმა ბრძოლით მოიშორა ყველა საფრთხეები და თავისი გასული წლის ისტორია დასწერა სისხლით.

გასულმა წელმა კიდევ უფრო გაამტკიცა საქართველოს მებრძოლ შვილების მტკიცე ნება და ნდობა თავისი ქვეყნის მოძრაობისადმი.

წყევლით ვიგონებთ გასულ წელს, რომ მან ბევრჯერ გაგვირია, სამაგიეროდ დიდებით მოიგონიებს ისტორია გასულ წელს, რადგანაც მან დასჯოვა დიადი გამარჯვებების კვალი საქართველოს გზაზე.

დროთა ბრუნვას მოშორდა გასული წელი. წაიშალა 1920—ციფრები.

ჩვენს ცხოვრების დღეებს მოშორდა ერთი წელი და წინ ახალი გვიდგას. რა იქნება ახლო მომავალში? საით წავა ცხოვრება? რა მოელის ჩვენს ქვეყანას, მსოფლიოს, ყველას ეს ამოცანები უტრიალებენ.

გასული წელი იყო მსოფლიო იმპერიალიზმის უკუღმართობის ისტორიული თამაში მსოფლიო ხალხთა დასერილ სხეულზე.

მიმდინარე წელი უნდა გახდეს მსოფლიო იმპერიალიზმის უკუღმართობის მესაფლავეთ.

გასული წელი იყო დასაწყისი ევროპის მუშათა კლასის ამოძრავებისა.

მიმდინარე წელში მსოფლიო მუშათა მოძრაობამ უნდა დაიმორჩილოს ძლიერი მიმდინარეობა, განახლებული მსვლელობისა და გაერთიანოს საერთაშორისო ხალხთა მოძრაობა.

გასული წელი იყო საშინელი ნივთიერ ურთი-

ერთობის, ეკონომიური და სასურსათო კრიზისების ხანა.

მიმდინარე წელი უნდა გახდეს ეკონომიური მოძრაობის გამოცოცხლების ეპოქათ.

გასული წელი იყო წვრილი ერების მესაფლავე, სამოქალაქო ომების, ნაციონალური შუღლის, ხოცვა-ჟლეტის, ხალხთა დარბევის მოციქული.

მიმდინარე წელი უნდა გახდეს წვრილი ერების განთავისუფლების, სამოქალაქო ომების მოსპობის, ხოცვა-ჟლეტის, სისხლის ღვრის ნაცვლად ძმობის, მშვიდობიანობის, სამართლიანობის მოციქული.

გასული წელი იყო ბრძოლა, მღელვარება, ომი.

მიმდინარე წელი უნდა გახდეს ზავის და მშვიდობის კეთილ შობილების ხანად...

წარსულმა წელმა ბევრი დაუმთავრებელი ბუნდოვანი საკითხები დასტოვა.

მძიმე და ძნელი საქმეები დაგვიტოვა. ის გარდაიცვალა, ახალი დაიბადა.

მძიმე იქნება მუშაობა, მაგრამ საქართველოს ხალხის შემოქმედებითი ძალა განაგრძობს თავის ნაყოფიერ მუშაობას. იბრძოლებს და მიღწევს მშვიდობიან ნორმალურ განვითარების პირობებს.

ჩვენი სამართლიანი ბრძოლის პირველი მოგზაურობა დამთავრდება. ის შეუერდება საერთაშორისო მოძრაობას. მომავალი მისია. ამ იმედებით სავსე შემოვდივართ ახალ წელში: ვეთხოვებით ძველს. ძველიდან გვრჩება ძვირფასი ფურცლები ისტორიისა. ვამოცილებთ. ახალში გვიწევს საქმიანობა. შრომა და ბრძოლა.

ა ნ ა ნ ი ა

1920

მზეო-ღვთისმშობელო, მზეო-ნებიერო, მზეო - თიბათვისა—გრალს შევედრები.. იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით დაიფარე—ამას გვედრები.

მწარე მოჩვენებებს თვალნი მიუხრდი, ღამე გაუთენე კარგი, შენმიერი...

დილა მიანიჭე ისევ ციურიდან შუქი უმანკოთა მიეც შენიერი.

დაე, ნუ მოწყდება ბაგეს ამოოხვრა, თვალებს ნუ მოწყდება ცრემლი უეცარი, სხვად ნუ შეიცვლება მისი მიმოოხვრა მით, რომ საუკუნე დადგა უმეცარი.

ამას გვედრები; დროის შეჩვენება სიკვდილს უცხოეთში მე ნუ გამაგონებს.

იგი, თანამგზავრი, ხშირად მეჩვენება, იგი, მწუხარება, ხშირად დამალონებს...

წელმა საოცარმა გზა რომ შეეღება უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები...

მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება, მზეო-ღვთისმშობელო, ამას გვედრები.

ტფილისი გალაკტიონ ტაბიძე.

1919 წლის ბოლო თუ შეიძლება ითქვას ერთნაირი მშვიდობიანი ხანა იყო ჩვენი რესპუბლიკის, ამიტომ სახალხო გვარდიის ყურადღებაც უმთავრესათ შინაურ აღმშენებლობითი მუშაობაზედ იყო მიქცეული, თითქმის მთელი 1919 წლის განმავლობაში სახალხო გვარდია რკინის რკალივით ერტყა ჩვენს რესპუბლიკას და იცავდა მას გარეშე და შინაურ მტრებისაგან. მხოლოდ წლის ბოლოს მოიხსენა მან ფიზიკურად და მთელი თავისი ენერგიით შეუდგა კულტურულ და გონებრივ მუშაობას.

1920 წელი გვარდიის ისტორიისათვის მეტად მდიდარი და შინაარსიანია, მისი მუშაობა მრავალმხრივია. ის დადებითი მუშაობა, რომელიც სახალხო გვარდიამ გამოიჩინა მეურნეობის დარგში, რომლის საუკეთესო ილლიუსტრაცია ფართო ყარაიზის ველია, თან და თან ძლიერდება და დღეს, როგორც გვარდია, ისე მისი ხელმძღვანელი ორგანიზაციები სამხედრო საქმის შესწავლასთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევენ გვარდიის მუშაობას სამეურნეო და კულტურულ—განმანათლებელ დარგებში.

1920 წელს გვარდიამ ერთხელ კიდევ დამტკიცა საქვეყნოთ მისი სამხედრო ძლიერება და სიყვარული თავისუფლებისადმი და დემოკრატიულ სამშობლოსადმი. მთელი წლის განმავლობაში გვარდია იარაღით ხელში ებრძოდა და დღესაც ებრძვის რესპუბლიკის საზღვრებზედ მოზღვავებულ მტრებს, რომლებსაც სურდათ და სურთ ჩვენი ქვეყნის განადგურება.

პირველი ფრონტი 1920 წ., სადაც სახალხო გვარდიას მოუხდა გამგზავრება, იყო ბათუმის ფრონტი. თებერვლის ბოლო რიცხვებში ბათუმის საკითხი მთელი თავისი სიმწვავეთ დადგა ჩვენს წინაშე: ინგლისელები ბათუმიდან წასვლას აპირობდნენ და ბათუმიც მათი წასვლის შემდეგ უნდა დაბრუნებოდა მისს ერთადერთ კანონიერ ჰატრონს, საქართველოს. ამ მიზნისათვის სახალხო გვარდია და ჯარი შეიჯგუფა ნატანებ-ოზურგეთის რაიონში და მხათ იყო პირველი ბრძანებისათანავე შესულიყო ბათუმის ოლქში. ამავე დროს მესხეთ-ჯავახეთის სახალხო გვარდია დაიძრა ახალციხიდან აჭარისაკენ. წარმოუდგენელი დაბრკოლებები, დროთოვლი, გარდაუვალი მთები ეღობება წინ მათ მსვლელობას, მაგრამ მესხეთ-ჯა-

ვახეთის გვარდიამ ჯართან ერთად გმირულად გადალახა ყველა სიძნელე და პირნათლად შეარულა თავისი მოვალეობა.

მაგრამ ეს ფრონტი დიდი ხნის არ გამოდგა, რადგანაც ინგლისელები ისევ ბათუმში დარჩენ და, თანახმად ჩვენი მთავრობის ბრძანებისა, სახალხო გვარდიის და ჯარის წინსვლა ბათუმის ოლქში დროებით შეჩერებულ იქმნა. 8 მარტს ნატანებ ოზურგეთის რაიონში მყოფ სახალხო გვარდიელთა დემობილიზაცია ხდებოდა.

მარტის ბოლო და აპრილის პირველ რიცხვებში სახალხო გვარდია და მისი მთავარი შტაბი მხურვალე მონაწილეობას ღებულობს მოხალისეთა ჯარის განიარაღებაში. ამ დროს ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკური მდგომარეობა თან და თან რთულდება. მოხალისეთა ჯარის დამარცხების შემდეგ რუსეთის წითელი არმია ჩვენს საზღვრებს უახლოვდება, ადერბეიჯანი გაწითლდა, ის გამოვიდა ამერკავკასიის რესპუბლიკათა რიცხვიდან, ეს ფაქტი კიდევ უფრო ართულებს ჩვენს მდგომარეობას. ჩვენ კიდევ ახალი საფრთხის წინაშე ვდგებით და ეს არის უდიდესი ყველა იმ საფრთხეთა შორის, რომელთა წინაშე ჩვენ არა ერთხელ ვფოფილვართ. სახალხო გვარდია კვლავ ირანზე მტრების წინააღმდეგ და სამშობლოს სადარაჯოზედ დგება.

აპრილის ბოლო რიცხვში მთავარი შტაბი აცხადებს გვარდიის საერთო მობილიზაციას, რომელიც კარგად და სწრაფათ ტარდება მთელს რესპუბლიკაში. მაისის პირველ რიცხვებში ადერბეიჯანი თავს გვესხმის წითელი ხიდის მიდამოებში...

დაიწყა ომი... ომი სამკვდრო სასიცოცხლო და აი სწორეთ ამ ბრძოლაში სახალხო გვარდიამ დაამტკიცა რომ მას შეუძლია არე მარტო ბანდებთან ბრძოლა და მათი დამარცხება, არამედ მას შესწევს უნარი და გაბედულება ეკვეთოს და ებრძოლოს დიდი სახელმწიფოს რეგულიარულ ჯარსაც. ადერბეიჯანთან ომი ეს იყო პირველი მავალითი, როდესაც ჩვენი რესპუბლიკის გვარდია და ჯარი პირისპირ შეხვდნენ საბჭოთა რუსეთს წითელ ჯარებს. ეს იყო ნამდვილი ომი, ამ სიტყვის ფართო შინაარსით, და ამ ბრძოლიდან ჩვენ გამარჯვებულნი გამოვედით. საუკეთესო გმირები, მებრძოლები შეწირა ადერბეიჯანის ომს; მაგრამ მათმა სისხლმა იხსნა ჩვენი ქვეყანა იმ უბედურებისაგან და ანარქიის ქარცეცხლისაგან,

რომელიც სამი წლის განმავლობაში სწავს და ანადგურებს დიდ რუსეთს.

იმ დროს, როდესაც ადერბეიჯანთან ომი გვექონდა, სახალხო გვარდიის ნაწილები იბრძოდნენ კიდევ მეორე, ბათუმის ფრონტზედ, სადაც გვარდია და ჯარი იგერიებდა ბანდების იერიშებს.

იენისის პირველ რიცხვებში, როდესაც ადერბეიჯანთან კიდევ საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით, სწორეთ ამ დროს გაგვიჩნდა ახალი ფრონტი ცხინვალის მიმართულებით. აჯანყებულმა ოსებმა თავი წამოაყვეს, დაწმუნებულთ იმაში, რომ ჩვენ არ შეგვეძლო ერთ და იმავე დროს ორ ფრონტზედ ბრძოლა, დაიკვეს ცხინვალი და მოიწვედნენ წინ. სახალხო გვარდიის ნაწილები ელვას სისწრაფით გადადიან ერთი ფრონტიდან მეორეზედ და რამდენიმე დღის განმავლობაში სწმენდენ ოსეთს ამბოხებული ბანდებისაგან.

ჯერ კიდევ როდესაც სახალხო გვარდია და ჯარი ადერბეიჯანის და ოსეთის ფრონტებზედ იმყოფებოდა სწორეთ ამ დროს ხელმეორეთ დადგა ჩვენი რესპუბლიკის წინაშე ბათუმის საკითხი, რომელმაც სახალხო გვარდია კვლავ ბათუმისაკენ მოითხოვა. ივლისის პირველ რიცხვებში სახალხო გვარდია და ჯარი შეიკრიბა ისევ ნატანებ ოზურგეთის რაიონში და 7 ივლისს დიდი ზეიმით შევიდა ბათუმში და მისს ოლქში.

დიდი იყო ეს მომენტი ჩვენი ერის და რესპუბლიკის ცხოვრებაში, აღსრულდა ჩვენი ნატვრა... ბოლო მოელო დედისა და შვილის ნატანჯ სიცოცხლეს. სახალხო გვარდიის ბათუმის დაბრუნებით კვლავ შეეძინა ახალი საზრუნავი, საპატრონო, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ნაწილი, მაგრამ საზრუნავ საგანთან ერთად მას შეეძინა ახალი ძმა, ახალი ძალა, ბრძოლის ქარცეცხლში გამოჭედილი, მტკიცე ნებით და ენერგიით ცნობილ ბათუმის მუშათა კლასი და მისი წიაღიდან გამოსული ბათუმის გვარდია, რომელიც დღეს ბათუმს და მისს ოლქს ფხიზლად დარაჯობს.

გაერთიანდა საქართველო, გამრთელდა მასი დაკიდებული სხეული, ამ დიადი აქტის შემდეგ, თითქოს, დადგა ფიზიკური დასვენების ხანა, შავი ღრუბლები რესპუბლიკის საზღვრების ირგვლივ დროებით მიმოიფანტა, და სახალხო გვარდია კვლავ თავის ჩვეულებრივ მუშაობს დაუბრუნდა; მაგრამ ეს დასვენებაც არ გამოდგა ხანგრძლივი, სახალხო გვარდიას

ეს არც უკვირს, რადგანაც ის არ არის ჩვეული ხანგრძლივი დასვენებისა, გვარდიას სწამს, რომ მსხვერპლად მისს საკუთარ ხელშია და მტკიცედ ფხიზლად ადევნებს თვალყურს პოლიტიკურ მდგომარეობას და მოსალოდნელი საფრთხისათვის ემზადება. და ეს საფრთხეც შორს არ ყოფილა... ის კვლავ წამოიჭიმა ჩვენს წინაშე. რესპუბლიკის საზღვრებს კვლავ მოაწვა წითელი და შავი იმპერიალიზმი და აი გვარდიაც შეუდგა თავის ძალების მობილიზაციას და დღეს მთელი რესპუბლიკის გვარდია სამშობლოს სადარაჯოზედ სდგას და ყოველივე მოსალოდნელი საფრთხისათვის მზათ არის. გვარდიას სწამს, რომ ის გამარჯვებული გამოვა ამ ახალი საფრთხიდანაც და შორს არ არის ის დრო, როდესაც სახალხო გვარდია მთელს თავის ძალას და ენერგიას მოახმარს შინაურ აღმშენებლობით მუშაობს, აი ამ მტკიცე რწმენით გვარდია ფრონტზედ ხვდება, იქ ითენებს ახალ წელიწადს და სწამს, რომ მომავალი 1921 წელში შეიქმნება საქართველოს რესპუბლიკაში ესეთი მდგომარეობა, რომელიც საქართველოს მუშათა კლასს და მისს დამცველ სახალხო გვარდიას საშვალეობას მისცემს თავისი დრო და შრომა მოანდომოს რესპუბლიკის კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებას.

მის. ბაუუნაიშვილი.



შალვა ნესტორისძე ელიაძე.

სახ. გვარდიის ოფიცერი.

დაიბადა 1896 წელს, მონაწილეობას იღებდა სხვა და სხვა ფრონტებზე. იყო რამოდენიმეჯერ დაჭრილი და დაჯილდოებული სიმამაცი-სათვის. მოჰკლეს 1918 წელს ბოლშევიკებთან ბრძოლის დროს ახალ-ათონთან.

აშხ. პარლ კაუჭკის გამოთხოვება.

25 დეკემბერს კარლ კაუჭკი ეწვია სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს. ევროპის მუშათა კლასის მასწავლებელი ამ

დღეებში მიემგზავრება ევროპაში და შტაბს 25 დეკემბერს გამოეთხოვა...

გამოეთხოვა სიქართველოს სახალხო გვარდიის ჩვენი ძვრფასი მასწავლებელი...

სწორეთ 2 საათი იქნებოდა, როცა კ. კაუციკი შტაბის წევრებთან ერთად აივანიდან ყვირილის სახალხო გვარდიის შეეგება...

პირველად სიტყვა წარმოსიტქვა მთავარ შტაბის თავმჯდომარემ ვალიკო ჯუღელმა.

ვ. ჯუღელის სიტყვა.

ამხანაგებო! თქვენ მიემგზავრებით ფრონტზე. თქვენ დღეს გაცილებს არა მარტო სახალხო გვარდიის შტაბი, არამედ შტაბთან ერთად გაცილებს საერთაშორისო პროლეტარიატის და მუშათა მოძრაობის ბელადი ჩვენი ძვრფასი მასწავლებელი კ. კაუციკი. პატარა ქვეყნის, ესე იგი ჩვენი დემოკრატიის, ღირსეულმა შვილებმა დიდი ბრძოლები გადაიტანა. ჩვენი ბრძოლა ყოველდროს იყო სამართლიანი. ჩვენ არავის თავს არ დავსხმევართ. და თუ ვინმე თავს გვესხმოდა ვიცავდით ჩვენს ქვეყანას, ჩვენს თავისუფლებას. დღესაც ჩვენ ვიცავთ ჩვენი საზღვრებს, ჩვენს დამოუკიდებლობას. ჩვენ არ დავმარცხებულვართ ამ საძი წლის განმავლობაში და ჩვენი წითელი დროშა ძირს არ დავვიწვევია.

აი ამ ჩვენს მოძრაობას გაეცნო კარლ კაუციკი. ის ააღლებზეა გამგზავრება ევროპაში და იქ ხალხს გადასცემს ჩვენს მოძრაობას, ჩვენს ბრძოლას.

გისურვებთ, ამხანაგებო, გამარჯვებას. რომ კვლავ ფრონტიდან დავბრუნებულიყოთ ჩვეულებრივად გამარჯვებულნი...

კ. კაუციკის სიტყვა.

ამხანაგებო! მე თქვენთან ყოფნის დროს ბევრი შევისწავლე. ვატაცებით შევეყურებ თქვენს თავგანწირულ ბრძოლას. თქვენ შექმენით თქვენი შრომით და მოძრაობით თავისუფალი საქართველო და იბრძვით საუკეთესო იდელებისათვის. მე მივდივარ, მაგრამ თქვენსკენ იქნება ევროპის მშრომელი ხალხის ყურადღება მიქცეული. თქვენ გაიმარჯვებთ სამართლიან ბრძოლაში და დასძლევეთ ყოველგვარ ხელის შემშლელ პირობებს თქვენი მტკიცე ნებით.

გავიმარჯოს თქვენ. გაუმარჯოს პატარა და თავისუფალ საქართველოს!..

გაუმარჯოს ს.—დემოკრატიულ საქართველოს!..

კ. კაუციკის სიტყვის შემდეგ ორკესტრმა შეასრულა „ინტერნაციონალი“ ყვირილის გვარდია გაეძაოთა რუსთაველის ქუჩისკენ...

შტაბში კ. კაუციკის პატივისაცემად კრება გახსნა ამი ვ. ჯუღელმა.

კრებას დაესწოენ შტაბის წევრები, რაიონებიდან ამხანაგები, თფილისში მყოფ ნაწილების უფროსები.

ვალიკომ თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნა, რომ ძალიან გვაწუხებს, რომ ასე ადრე მიდის კ. კაუციკი, მაგრამ ამავე დროს კიდევ გვიხარია რომ მიდის, რადგანაც იქ მის სიტყვას მოისმენს ევროპის მუშათა კლასი და ის იქნება დახმარება ჩვენი ქვეყნისათვის.

კარ. კაუციკიმ მოკლე პასუხში აღნიშნა, რომ ის იყო საქართველოში მეგობრებთან,

ამხანაგებთან. აქ არ უხდებოდა მას ბრძოლა, ნახა ქვეყანა სადაც მოწვეული უახლოესი მიზანი, მაგრამ მიდის იქ. სიტყვით ფრონტზე—მარცხნივ და მარჯვნივ ექნება ბრძოლა.

დასასრულ სიტყვა, რომ ის მოხარული იქნება მომავალ ბრძოლის დროს ძველი მეზობელი იყოს წევრი საქ. სახ. გვარდიისა და აასრულოს მისი წინამძღოლის ვალიკო ჯუღელის ნება...

მოკლე და თფილი თანაგრძობით სავსე სიტყვებია გათავდა გამოშვილობება.

კარ. კაუციკი სათითაოდ გამოეთხოვა ყველას. მან უსურვა სიმხნევე და გამარჯვება სახალხო გვარდიას.

გ ვ ა რ დ ი ა.

1.

შეხედეთ, რა ამბავი აქვთ ჩვენს მედგარ შევარდნებსა, დედა სამშობლოს საზღვრებზე მთებიდან მთებზე მფრენებსა, თავისუფლების დარაჯებს და დროშის დამაშვენებსა!

2.

გული მიმღერის, როდესაც ვხედავ ჩვენს გვარდიელებსა, შოთა რუსთაველის რაინდებს, აეთანდليل — ტარიელებსა, ქაჯეთის ციხის ამღებთა, ნესტანის გამომხსნელებსა!

გ. ქუჩიშვილი.



ყარაიაში გვარდიელები ხნავენ.

სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ-განმანათლებელი მოძრაობა სახალხო გვარდიის დღეში 1920 წ.

I.

სასოფლო სამეურნეო მოძრაობა სახ. გვარდიაში 1920 წ.

გასულ წელს სახალხო გვარდიის მოძრაობა მარტო სამხედრო მოქმედებით არ ხასიათდება. სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა უდიდესი ნაბიჯი გადადგა, როგორც კულტურულ მოქმედების ისე სამეურნეო მუშაობის სფეროში...

გასულ წელს სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა გახანგრძლივდა და დაასრულა თავისი ნაყოფიერი მუშაობათა შეერთება...

იმა მოძრაობის ძველებთან ძივდა უდიდესი გამარჯვება...

იარაღი, შრომა, კულტურა გაერთიანდა...

გასულ წელს მოსოლის ველზე იარაღით ძვირძალი გვარდიელი, უკან დაიხიდა და სახალხო საზოგადო შრომას უბოძდა. შრომიდან კულტურას, მეცხვარეს, მოძიებას, უხდებოდა...

მოძრავი კლეს ძეგლი, მკვიდრების დროს მუშა, თავისუფალ დროს საზოგადო სოციალურ-საქონელი იყო გასულ წელს სახალხო გვარდიელთა მოქალაქე-ოლი...

სახალხო გვარდიის მოძრაობაში გასულ წელს მკითხველი იყო გასულ წელს სახალხო გვარდიელთა მოქალაქე-ოლი...

სასოფლო-სამეურნეო გაყოფილებამ, მოძლას სათავეში იქმნა და დაიწყო. ვლადიმერ ჯიბლაძე, მთელი ძაბვით და ბეჭედატე დგებდა თავისი მუშაობით გააფართოვა მოქმედება და ბევრი ნაყოფი მოუტანა ჩვენს მოძრაობას.

მეორე სახალხო გვარდიის ყრილობაზე კაულ კაუციმ თავი იკავებდა გამოხატა და სთქვა; „სოციალისტების ისტორიაში შეიარაღებულ ძალებიდან სამეურნეო მუშაობის დაწყება პირველი და უდიდესი მოვლენა და ახალი სიტყვა ინტერნაციონალიზმისთვის.“

სწორედ ჩვენი სახალხო გვარდია ამით განსხვავდება ყველა შეარაღებულ ძალებიდან.

გასულ წელს სამეურნეო მუშაობა დაწყებული წიხ წავიდა და ერთი თვლის გადავლებით ჩვენ ვეღვთ შევდგას:

ყარაიზის თვალ უწვდენი ველი დამუშავდა; იქ ამოძრავდა მატორები, აღმინებნი...

სახალხო გვარდიელებმა თავის შრომით, ენერჯის დახარჯვით ნაყოფი მისცეს სახელმწიფოს, საზოგადოებრივი შრომა შემოიღეს.

სამეურნეო განყოფილების მუშაობა ამით არ გათავებულა.

ის გადავიდა პროვინციებში და იქაც ადგილობრივმა შტაბებმა გააცხოველეს მუშაობა...

ქუთაისის, ოზურგეთის, ახალციხის, ახალქალაქის და სხვა რაიონებში შეუდგა მიწების დამუშავებას...

ყველგან და ყველა კუთხეებში სახალხო გვარდიელებმა მიიღეს ეს ახალი, მშვიდობიანი მუშაობა...

მარტო ამით არ თავდება გასულ წელს მთავარ შტაბის სამეურნეო განყოფილების მოღვაწეობა...

მან თავის მუშაობას ე. ი. მიწების დამუშავებას მიუმატა ახალი საქმე: საქონლის მოვლა-მოშენება.

ამ მხრივაც წინსვლა, წარმატება იყო.

მართალია მამულების დამუშავებისას ყარაიზის ნესტიანმა ველმა ჩვენი ხელმძღვანელ ამხანაგების ჯანმრთელობა გაანახევრა, მათი ენერჯია შეიწირა და აგრეთვე მრავალი მშრომელი სახალხო გვარდიელი დაასნულა და ზოგიერთებიც იმსხვერპლა, მაგრამ სამაგიეროთ დიდ საქმესთან ერთად ნაყოფიც მოიტანეს და მიმდინარე წლის პრესპექტივაში კარგი მოძავალი აქვს...

ამგვარი სახალხო გვარდიის მოძრაობას გასულ წელს თან ახლავს შრომის ნაყოფიერი და ხოდა განვითარება და ეს მოძრაობა კიდევ უფრო აცისკოვნებს და ამგვსიერებს საქართველოს სახალხო გვარდიის წინსვლას დიად და ბრწყინვალე მოძავალისაკენ...

იოლი, შრომა და განვითარება—აი, რა სიყვარული უხადებდა გასულ წელს ჩვენს ისტორიის სახალხო გვარდიის მოძრაობის სახით.

II.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის კულტურულ-განმანათლებელი განყოფილების მოძრაობა 1920 წ.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება დაარსდა 1920 წელს იანვრის ბოლო რიცხვებში. განყოფილებაში, თანახმად მთავარ შტაბის გასახდრულ დირექტივებისა, მიზნით დაისახა სახალხო გვარდიაში დაწყებულ მუშაობის გაფართოება, სოციალისტურ-პოლიტიკურ მოძღვრების გასავრცელებლად სისტემატიურად პროპაგანდა-აგიტაციების, ლექციების, და რეფერატების მოწყობა, ლიტერატურის გავრცელება; მუდმივ ნაწილებში ელემენტარულ ცოდნათა მისაღებათ, წერა-კითხვის შესასწავლად, საღამოების, შკოლების მოწყობა, სახალხო წარმოდგენების, ოპერების, სალიტერატურო საღამოების გამართვა; ბიბლიოთეკა—სამკითხველოების გახსნა; პროვინციაში პროპაგანდა-აგიტაციისათვის პროპაგანდისტების დაგზავნა; მუდმივი ნაწილებში კულტურულ განმანათლებელი სექციების და რაიონებში განყოფილებების დაარსება და ყველა ისტორიულ მასალების მოგროვება სახალხო გვარდიის მოძრაობიდან და ისტორიიდან.

მიმდინარე წლის განსაკუთრებულმა მდგომარეობამ და უკუბრუნებულ დასახულ მიზნებს განხორციელებაში დიდათ ხელი შეუშალა, მაგრამ რამდენათაც შესაძლებელი იყო, კულტურული მუშაობა მიმდინარეობდა სახალხო გვარდიაში და ის თანდათან ფართე ხასიათს იღებდა.

განყოფილება მთავარ ყურადღებას აქცევდა გვარდიის მუდმივ და მთავარ ნაწილებს და კულტურულად ჩამორჩენილ რაიონებს.

მიუხედავად მძიმე პირობებისა და ნივთიერ ხელმოკლეობისა დღემდე კულტურულ-განმანათლებელმა განყოფილებამ დღიდან თავისი არსებობისა სისრულეში მოიყვანა შემდეგი:

1) თბილისის მუდმივ ნაწილებში, რაიონებში და პროვინციაში მიმდინარე მომენტზე და სხვა და სხვა სოციალისტურ-პოლიტიკურ თემებზე მოაწყო ლექციები და მოხსენებები არაჩვეულებრივი ხასიათისა.

სისტემატიურად კი ახდენს მუდმივ ნაწილებში ადგილობრივ სექციების საშუალებით კრებებს, და მიდის თანამედროვე საქირ-მორტო საქითხების და მოვლენების შესახებ საუბარი გვარდიელებში.


პროვინციაში, განსაკუთრებით კი ჩამორჩენილ მხარეებში, დრო გამოშვებით გზავნიდა მოხსენებლებს, აწყობდა კრებებს და კრებებზე გვარდიელებს აცნობდენ თანამედროვე დემოკრატიულ საქართველოს წესწყობილებას და ევროპის მოძრაობას.


თითქმის ყველგან, ყველა კუთხეებში, სწარმოებდა ასეთი მუშაობა.

2) ამ მუშაობასთან ერთად თბილისში და პროვინციებში გვარდიელთათვის იმართებოდა საღამოები, წარმოდგენები, ოპერები და სხვა.

თბილისში სახელმწიფო თეატრებში გასული წლის ვანავლობაში მოაწყო უფასოთ გვარდიელთათვის 14 ოპერა, 16 დრამატიული წარმოდგენა, რომელსაც საერთოდ 20.000 ათასი გვარდიელი დაესწრო. ადერბეიჯანის ფრონტზე კი გაიგზავნა სამოგზაურო კინემატოგრაფი, ხოლო გვარდიის საგანგებო ბათალიონის დასმა ახალციხეში გამართა ფრონტის დროს 10 წარმოდგენა, ცხინვალში 5-ჯერ, ახალციხეში ნაჩვენები იყო 4-ჯერ კინემატოგრაფული სურათები.

3) სექცია უმთავრეს ყურადღებას აქცევდა ლიტერატურის გავრცელებას. ადერბეიჯანის ომის დროს სექციამ გამოსცა





ორჯერ ბიულეტენები 45 ათასი ცალი- და გაზეთი „რევოლიუციონური არმია“ ორი ნომერი, 10 ათასი ცალი. სექცია სისტემატიურათ აწვდიდა ჟურნალ — გაზეთებს და თანამედროვე სოციალისტურ პოლიტიკურ ბროშურებს ჩამორჩენილ კუთხეებს, ფრონტს...

სულ მან გასული წლის განმავლობა- ში შეიძინა და გაავრცელა 71.350 ცა- ლი „ერთობა“, 35.125 ცალი „ბორბა“, 12.508 „მუშათა ცხოვრება“, 1.928 ც. „ემშაკის მათრახი“.

12 დეკემბრის საღმრთო საფუძვლით გა- მოსცა ჟურნალ „სახალხო გვარდიის“ პირველი ნომერი და გაავრცელა ფრონტ- ზე 2 600 ცალი, პროვინციაში კი 3.600 ცალი, „სახალხო საქმე“ 4 225 ცალი, „საქართველოს რესპუბლიკა“ 4.425 ც., სექცია აგრეთვე აწვდიდა ყველა პერიო- დულ გამოცემებს გვარდიის მუდმივ ნა- წილებში და რაიონებში არსებულ სა- მკითხველოებს.

მან გაავრცელა უფასოთ კარლ კაუც- კის წიგნები 3.800 ცალი, ს. დევდა- რიანის „როგორც სცხოვრებენ საბჭოთა რუსეთში“ 2.000 ც. ამხანაგის „კომუ- ნისტურ რუსეთში“ 3.800 ც., „რა უნ- და იკოდეს ყველამ“ განის — 3.900 ცა- ლი, დამფუძნებელი კრების საპროპაგან- დო კომისიის გამოცემული ბროშურე- ბი: №№ 1, 2, 3, 4 და მე 5-თე, სულ 14.800 ცალი. ყველა საინტერესო გა- მოცემები ყველა გვარდიის ნაწილებს დაუგზავნა 185—185 ცალი, სულ 9.650 ცალი.

გვარდიის დღესასწაულის დღეს, 12 დეკემბერს, გამოსცა მოწოდებები რუ- სულ და ქართულ ენაზე — 18,000 ცალი და გაავრცელა ფრონტზე და ხალხში.

4) დაარსა გვარდიის მუდმივ ნაწილებ- ში სექციები, საოლქო და სარაიონო შტაბებში განყოფილებები.

5) სექციამ გასული წლის განმავლო- ბაში მოაწყო გვარდიის ნაწილებში და შტაბებთან გვარდიელებისათვის ბიბლიო- თეკა-სამკითხველოები სულ 58 ადგილას, ჩამორჩენილ მხარეებში აუდიტორიები: კრებებისათვის და ლექციებისათვის, მა- გალითად: თიანეთში, ჯავახეთში, ახალ- ციხეში, გორში, ხაშურში და სხვაგან.

განსაკუთრებული და საკუთარი თეატ- რები გახსნა: დუშეთში, თბილისის გვარ- დიის ბათალიონში, გვარდიის საარტილერ- იო ბრიგადაში, და სხვაგან, სადაც სი- სტემატიურათ იმართება კრებები, წარ- მოდგენები და სხვა.

6) აგრეთვე მთავარი სექცია შეუდგა სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ფუნ- დამენტალურ ბიბლიოთეკის მოწყობას და გასული წლის ბოლო რიცხვებში კიდევ გახსნა, რომლითაც საშვალება ეძლევა ისარგებლოს ყველა მუდმივ ნაწილებს.

ხსენებულ ბიბლიოთეკისათვის მან შეი- ძინა სურათები, შკაფები და საუკეთესო წიგნები 9.600 ცალამდე სოციალისტურ- ოლიტიკურ-მეცნიერულ და ლიტერა- ტურულ დარგებიდან.

7) ივლისის რიცხვებში განყოფილ- ბის ინიციატივით მოეწყო სახელმწიფო თეატრში საღამო-კონცერტი, რომელზე- დაც მოხდა შეჯიბრება-არჩევანი გვარდი- ისათვის სოკონკურსოთ წარმოდგენილ მარშებისა.

ხსენებულ საღამოზე სახალხო გვარ- დიამ ნათლათ დაუმტკიცა ყველას თავისა პირველობა ამ დარგში, რაიც შედეგია იმ დიადი შრომისა, რომელიც იყო და- ხარჯული გვარდიაში მუსიკალურ შემო- ქმედების განვითარებისათვის.

აგრეთვე გვარდიელთა მიერ სიმღე- რის შესასწავლათ მიიღო ზომები მუდ- მივ ნაწილებში.

8) სადაც აუცილებელი იყო, მუდმივ ნაწილებში და ჩამორჩენილ რაიონებში, მიღებულ იქნა ზომები შკოლების გასახ- სნელათ, გვარდიელთათვის წერა-კითხვის შესასწავლათ.

9) სექციამ დააშადა სტატისტიკური მასალები პროპაგანდა - აგიტაციისათვის აგრარულ, საქართველოს სიმდიდრე-სი- ღარიბის, პროფესიონალურ მუშათა მოძ- რაობის, ეკონომიურ-ფინანსიურ მდგო- მარეობის, მომარაგების, გვარდიისა და ჯარის შესახებ.

10) გასულ წელს დაიწყო მუშაობა სახალხო გვარდიის მოძრაობის ისტორი- ული მასალების მოსაგროვებლათ, და ნაწილი ამ მასალებისა უკვე თავ-მოყ- რილია.

11) ასულ წელს მთავარმა სექციამ — საგანგებო ბათალიონის სექციის დახმა- რებით საქართველოს სხვა და სხვა მხა- რეებში იმოგზაურა და მოაწყო საღა- მოები.

12) პირველ იანვრიდან სექცია გამოს- ცემს სისტემატიურათ ორკვირულ ჟურ- ნალს „სახალხო გვარდიელს“, თანხმათ მთ. შტაბის დადგენილებისა.

13) საერთო მუშაობის გასაადვილებ- ლათ, მთავარ სექციასთან დაარსდა თბი- ლისში არსებულ კულტურულ-განმანათ- ლებელ სექციების და განყოფილებების

მიერ არჩეული საბჭო, რომლის კრებები იმართება საჭიროების მიხედვით. ასეთი იყო, დაიხლოებული გასულ წელს სახალხო გვარდიის მთავარ შტა- ბის კულტურულ-განმანათლებელი სექ- ციის მოღვაწეობა.

III.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის კულტურულ-განმანათლებელ სექ- ციის მიხედვით.


სახალხო გვარდიის თანამედროვე ის- ტორიულ მოძრაობას ეძლევა არა მარტო სამხედრო, არამედ საზოგადოებრივი, პოლიტიკური, სოციალისტური მოძრაო- ბის მთლიანი ხასიათი და გამოხატულება; ამიტომ გვარდიის დასახულ მიზნების განხორციელება, რომელიც შეკავშირე- ბულია მუშათა კლასის საერთო მოთხო- ნილებასთანა მის ისტორიულ მისიასთან, მოითხოვს სწრაფი მოძრაობით კულტურ- რულ განმანათლებელი მუშაობის გაფარ- თოვებას, რომელიც საუკეთესო თავდე- ბია და აუცილებელი ჩვენი საბოლოო იდეალების მისაღწევათ.

გვარდია, როგორც სოციალისტური, პოლიტიკური და სამხედრო შეიარაღებუ- ლი ძალა თავის სამოქმედო ასპარეზად ისახავს უმთავრეს, და უკანასკნელ სა- შუალებას-იარაღს უმორჩილებს სოცია- ლისტურ პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ შეგნებას და ის, როგორც შეილი რევო- ლიუციონურ დემოკრატიისა ერთხელაც არ დაივიწყებს თავის უდიდეს მოვალე-ობას წინმსვლელობისა და განვითარე- ბის საქმეში.

ის დრო და დავისუფლება, რომელიც სახალხო გვარდიას თავისი სამხედრო მო- ვალეობის ასრულების გარეშე რჩება, სრულიად უნდა მოახმაროს კულტურულ განვითარებას, სამეურნეო მუშაობას, რომ მისი მოძრაობის ნიადაგი სავსე დარჩეს მომავალ სოციალისტურ მოძრაობისა- თვის.

იმისათვის, რომ სახალხო გვარდიის კულტურულ-განმანათლებელმა სექციამ თვის მთავარ მიზანს მიაღწოს, ნაყოფი- ერი დარჩეს ის მოღვაწეობა-და შრომა, მიზნათ ისახავს ამ აუხლოვეს ხანებში განახორციელოს შემდეგი:

- 1) გაძლიერებული უნდა იქნას პრო- პაგანდა-აგიტაცია გვარდიის მუდმივ და სარეზერვო ნაწილებში სოციალისტურ, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ მოძღვრე- ბის გასავრცელებლად და ამ მიზნის მი- საღწევათ ის გაფართოვებს დაწყებულ მუშაობას: ა) თბილისის მუდმივ ნაწი- ლებში და რაიონებში რეგულიარულად იწარმოებს ლექციები, რეფერატები, კრე- ბები; ბ) პროვინციებში ამავე მიზნით გაგზავნილ იქნებიან პროპაგანდისტ- ლექტორები; გ) გვარდიის მუდმივ ნა-



წილებში მოეწყო სასტიკი სისტემატიურად ლექციების კონკრეტული და სხვა მეცნიერულ თემებზე განსაზღვრულ მსმენელებისათვის; დ) დაარსებული იქნება დანტერესებულ პირთა და ახალგაზრდა გვარდიელებისათვის სამეცადინო — სამეცნიერო წრე, სადაც იწარმოებს სისტემატიურად შესწავლა მეცნიერულ პრობლემათა, დადებითი და საფუძლიანათა.

2) გამოცემული იქნება ბროშურები სხვა და სხვა აუცილებელ საჭიროებოტო საკითხებზე. გავრცელებული იქნება თანამედროვე ჟურნალ-გაზეთები და ლიტერატურა; გამოცემული იქნება გვარდიის მოძრაობის ისტორიული მასალების კრებული ბრძოლების ეპიზოდებით, დაღუპულ გვარდიელების ბიოგრაფიით და სხვა საჭირო დოკუმენტებით.

3) გვარდიის მუდმივ ნაწილებში და ჩამორჩენილ ნაწილებში, სადაც ეს აუცილებელია, მოწყობილი იქნება ადგილობრივი ძალების დახმარებით უცოდინარ გვარდიელთათვის წერა-კითხვის შესასწავლოთ სკოლები საღამოს კურსებით.

4) მუდმივ ნაწილებში და ჩამორჩენილ რაიონებში გვარდიისათვის მოეწყობა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები და ყოველგან კი მუდმივ ნაწილებში მიწოდებული იქნება ჟურნალ გაზეთები.

5) იქ, სადაც აუცილებელია, მოეწყობა გვარდიელთათვის აუდიტორიები.

ზემოაღნიშნულ მიზნების ცხოვრებაში გატარება სრულიად ბუნებრივად აყენებს სხვა მრავალ თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებებს და გვარდიის რაზმებში, წრეებში, საზოგადოებრივ სიმტკიცის გაძლიერება, მისი სულიერი გაფაქიზება და ხელოვნებასთან დაახლოვება მოითხოვს სოციალისტურ-პოლიტიკურ პროპაგანდა — აგიტაციასთან ერთად სექციამ მოაწყოს გვარდიელთათვის და განახორციელოს შემდეგი:

იაფ-ფასიანი და უფასო წარმოდგენები, ოპერები, სალიტერატურო საღამოები, კონცერტები, სამხედრო და სიმფონიური ორკესტრები, ღომდერალთა გუნდები, კინემატოგრაფები და სხვა. რომ ეს მიზანი ასრულებული დარჩეს ამისათვის სექცია ფიქრობს სისრულეში მოიყვანოს შემდეგი.

1) სექცია იზრუნებს ოპერების, წარმოდგენების, კინემატოგრაფების მოწყობაზე თეატრებში.

2) გვარდიის მუდმივ ნაწილებიდან უნდა გამოიკრიფოს ნიჭიერი სცენის მოყვარე გვარდიელები და მთავარ სექციასთან უნდა დაარსდეს ერთი მთლიანი დრამატიული დასი, რომელიც სისტემატიურად გამართავს წარმოდგენებს მუდმივ ნაწილებში და დრო გამოშვებით სამოგზაურო გასტროლებს მოაწყობს პროვინციებში.

3) გაუმჯობესებული უნდა იქნას სა-მუსიკო კულტურა.

თანამედროვე მოთხოვნილება აშკარათ ამტკიცებს, რომ ლტოლვილება ორკესტრის გაუმჯობესებისაკენ სწრაფათ იზრ-

დება სახალხო გვარდიის წრეებში, დემოკრატიულ რაზმებში და ეს მიმდინარეობა ბუნებრივია.

სამხედრო მოძრაობის დროს სამხედრო მუსიკის დიდი მნიშვნელობა აქვს. ბრძოლის ველზე მიმავალ მეთაურთა სულიერ სიმტკიცისათვის.

მშვიდობიანობის დროს სამხედრო სიმფონიურ ორკესტრებს მოაქვს მაღალი კულტურული წინააღმდეგობა და ხალხის ფსიხოლოგიაში მას შეაქვს დიდი შემოქმედების, გაკულტურების თავეზიანი იდეები.

თუ ძველ არისტოკრატებს და თანამედროვე ბურჟუაზიულ კლასს კარგათ ქონდა და აქვს გამოყენებული მუსიკა — ორკესტრი თავისი გემოვნებისათვის, თანამედროვე დემოკრატიის რაზმებშიც უნდა გამოიყენოს ის თავისი სულიერი ძალების შესაკრებლად და მომავლის იდეების გასამტკიცებლად, ამიტომ მთავარი სექცია ფიქრობს ამ საქმეს მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და ჩამოაყალიბოს ერთ გარკვეულ ფორმებში მუსიკა-ორკესტრის გაუმჯობესების საქმე.

ასეთია დაახლოვებით მთავარი მიზანი, რომელიც სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის კულტურულ-განმანათლებელ განყოფილებამ უნდა განახორციელოს.

ეს მიზანი ახლოვებს ჩვენ სოციალისტურ პოლიტიკურ მოძრაობას ევროპის კულტურასთან, საითქნაც მიიღების მუშათა კლასის შეგნებული ნაწილი და რომელიც მებრძოლთა რაზმებში აძლიერებს სულიერ გამტკიცებებს და სოციალიზმის ნაყოფისათვის ნიადაგს.

დასახულ მიზნების განხორციელება აუცილებელია და მისი სისრულეში მოყვანა საუკეთესო გამარჯვება იქნება სახალხო გვარდიის კულტურულ აღორძინებისათვის.

მთავარი შტაბის კულტურულ-განმანათლებელი სექცია.

ახალი წელიწადი საქართველოში

ლამის თორმეტი საათი რომ მოახლოვდა — მამა დავითის მთაზე გადმოდგა მოხუცი ძველი წელიწადი პატარა შვილით-ახალწლით.

— შვილო! — მიჰპართა მოხუცმა — განშორების ჟამია, დაეშვი ამ ბილიკებზე და ჩადი ხალხთან, რომელიც სასოებით მოელის შენს გამოჩენას..

ახალწელიწადი მოეხვია მამას მუხლებზე და შეევედრა:

— ნუ, მამილოჯან, ნუ შენი სულის ჭირიმე... ნუ მიხვალ, ნუ, მტოვებ, მეშინიან მარტო ყოფნა... ჯერ ისევ ერთი ციციქნა ვარ და როგორ გადვიტან იმდენს ღუბუბის.. განა შენ ცოტა ვაგლახი

გადახდენია... რამდენი გვეყვას ხალხ-ვიკებმა, რამდენი გვეყვას ქალებიც კი თრთიან ამ ამბავს, რამდენი გვეყვას მე როგორ მტოვებ მათ ანაბარას... ვით გაუძლო მათ სივერაგეს?.. გამაჟარებენ, მამილო, ცას გამიწითლებენ რისხვისაგან... შემობრალე, გენაცვალე... შემობრალე... ან დარჩი ჩემთან, ან თან წამიყვანე..

— ჩემი დარჩენა არ შეიძლება, შვილო!.. ჩემი დაბერებული ძვლები და დაბედებული სახსრები ველარ შესძლებენ არსებობას... გამომელია ღონე... მალე უნდა შევეუერთდე მარადისობის ყინვით გაფიჩხულ საუკუნებს..

შენ კი ნორჩი ხარ... სირცხვილიც კია რომ შეშინელობ... ნუ ჰკრთი.. მარტო არ იქნები ქვეყნად.. მხსნელად და მფარველად საქართველო მოგვევლინება...

მეც ის მანუგეშებდა ხოლმე... ის რომ არა ყოფილიყო — შენი მტერი... რა მაცოცხლებდა ამდენს ხანს? როცა წითელ და შავ რეაქციონერთა აყვია ლაშ-ჩარი დამეხვეოდა — საქართველოს ვაფარებდი თავს..

არ დაგიმალავ, არავის ეპრიანება შენი მისვლა... ყველასა ჰსურს შეაჩეროს დრო... იციან, რომ ახალი დრო-ჟამი უღმობელი იქნება... თუ ჩვენ, ძველებს, გვიძნელდებოდა ბრძოლა ყველა მათთან, ვისაც ცხოვრება ხალხისათვის ჯოჯოხეთად გადაუქცევია, ახალი დროსთვის ეს არ იქნება ძნელი... მას თან მოაქვს იმედის მთები და ვაი ყველა ბნელ ძალებს... მარტო ერთი შეხედვა ახალი წლისა ელეთ-მელეთს მოჰგვრის მათ, დავთრებს დაუბნევს... ჰო და შენი მისვლისაც ეშინიანთ... რისხვის ცეცხლით არ გადაგვბუგავს შავი კარვები რომელიც გაპარტახებულ ქალაქსოფლებზე მუხანათურად გვაქვს აღმართული..

მხოლოდ ერთად ერთი საქართველოა, რომელიც აღტაცებით მოელის ახალ ჟამს, ცხოვრების გამცისკროვნებელს...

აგერ საქართველოს დედაქალაქის სახალხეზე ჩირაღდნებით გაბრწყინებული სდვას მშვენიერ ქალწული და ხელგბ გაშვერილი მოგელის აღტაცებით...

ის საქართველოს ოცნებაა...

გასწი მისკენ...

სიამოკბილობით ჩავიკრავს კოკობ გულში...

ინარეთ ერთმანეთით... ინეტრეთ... გაუძებ წინა ახალი მწვერვალებისკენ... ახალი გზები ასწავდე... ახალი სიმღერები წარმოათქმევინე..

მას წითელი დროშა უჭირავს ბრძოლის ქარცეცხლში გამოტანილი...

შენ ქვემარტების თეთრი ალაში აღმართე. უკვდავ სიყვარულის უჭკნობელ წაღკოტებისკენ გაიტაცე...

— საქართველო ღარიბია, მამილო... იობივით ღატაკია, გადამწირული... რა მივეტანო ძღვნად, რითი მიულოცო ახალი ცხოვრების დაწყება?..

— ეს პარკი წაუღე ნობათად... აქ ბევრი რაზაა სასიამოვნო და მსახარი... განსაკუთრებით ძვირფასია!

აი ეს ოცნება... უყურე... არაბეთის ზღაპრებივით ფერად-ფერადათაა აცისარტყელებული...

ეს ახალი მხნეობა... აბა დააკვირდი... ინდოეთის სიბრძნეავეთ ღრმა და დაურღვეველი...

აქ კადევ უთვალავი ფრთებია... ვიშ, ვიშ... რა რგად ჰქვენის... კეკლუც გაზაფხულის გარიჟრაჟსავეთ კისკასა და ლაქვარდოვანი...

აბა, შვილო, ნუღარ იგვიანებ, გენაცვალე... იღება კარა მარადიულ ღამისა და მიმხიობს აღსასრული...

მშვიდობია... გფარვიდეს საქართველოს მხნეობა... გადაეხვივნენ...

ქვირანით განშორდნენ... ძველმა წელიწადმა გაღიარა მთა და მიიხურა ღამის კარები...

ახალმა წელიწადმა თრაოლოთ გააყოლა მამას ცრემლიანი თვალები...

— კმარა პატარავ... ბევრიც ეძახო ვერ გააგონებ... ვერც გაიგებ მის სად მიმავლობას...

გასწი აღთქმისაშებრ მოხვედისკენ... ახალი წელიწადი დაეშვა ძირს და მერცხლის ჭიკჭიკით შეაფრინდა საქართველოს ოცნებას ფუნთუშა მკლავებზე..

მან გულში ჩაიკრა და ჩაჰკოცნა... ათასი ანგელოსის ამბორი არ იქნებოდა ისეთი საამო, როგორც იყო ეს კოცნა საქართველოსი...

ამ წუთს საქართველოს ყველა ერთგულ მოქალაქის თვალებში აგარსკვლავდნენ მხნე, იმედიანი სიზმრები...

ყველას გულში გაღიშალა ფერად-ფერადი ყვავილები...

ამ სანახაობას გამოჰყურებდა მეზობელი ბებრუხანა, რომელსაც კომუნისმის ფერ-უმარლი წაესვა მაშალის ჩარავით დამქვარ გამოფატულ სახეზე და მინც ვერ დაეფარა თვისი უბადრუკი სიბერე...

ფუჭად გავლილ ძველი წლის დღეებს ჰფხვნიდა, ბურნუთის ნაცვლად იტენდა ცხვირში და თან ჩიფჩიფებდა:

— ერთი ხელში ჩამივარდეს ეგ ლა-

წირაკი ახალ წელიწადი და ქალი არა ვყოფილვარ, თუ დედა არ ვუტირო და დღე არ დაუბნელოო...

საქართველოს საზღვრებზე მდგომ ქართველი მხედრები უყურებდნენ სულ-ქოროტა ბებრუხანას და სიცილით იხოცებოდნენ...

დ. თურდოსპირელი.

მობონება.

ამხ. გიორგი თაყნიაშვილი და ქრისტეფორე მამულაიშვილი ეს გვარდიელები პირველათ, ანარქის დწყებისთანავე შევიდნენ გორის სახალხო გვარდიაში, რომელსაც გიორგი მაჩაბელი ხელმძღვანელობდა ეს ამხანაგები, გორის ცნობილ მეოთხე პოლკში მსახურობდნენ და როცა ამ პოლკმა ძარცვა გლეჯვა მიყუ ხელი ბოლშევიკების ჩაგონებით, დასტოვეს პოლკი, მოვიდნენ ჩვენთან და თავიანთი მდგომარეობა გაგვაცნეს, აგვიხსნეს ყველა ის რასაც მეოთხე პოლკში საზიზღრობას ჩადიდდნენ და გვაცნობეს თუ როგორ ემზადებოდნენ ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად. გიორგი თაყნიაშვილი იყო სულ უბრალო, მაგრამ რევოლუციონერი. ხელობით მეტურტლე. ქრისტეფორე იყო ხელოსანი.

ამ ორმა ძმად ნათიცმა ამხანაგმა უკანასკნელი სისხლის წვეთამდის იბრძოლეს, არ მოშორებიან გვარდიას და ყველა ბრძოლაში მიუღიათ მონაწილეობა. პირველი ჩვენი მგზავრობა მოხდა ცხინვალში, მიტინგის შემდეგ, როცა დავაპატიმრეთ ნასტრაჟნიკალი და ნამამასახლისარი ძმები ხეთაგურები, ვითომც „ბოლშევიკების“ მეთაურები. ჩვენ გავსწიეთ ყორნისისაკენ.

ჩვენ ხელმძღვანელობას გვიწვედნენ ამხ. კოსტა გასიშვილი და სოსიკო გოგინაშვილი. თითქმის ყორნისამდის ყველა სოფლებს ავყარეთ იარაღი და შევედით თვით ყორნისში; ყორნისი მიუვალა ადგილია კაცს სიზაგრეს წარმოადგენს, სოფლები შორი-შორს არიან, ირგვლივ დიდი მთებია შემორტყმული და ერთი შესავალი აქვს.

როდესაც ჩვენ შიგ შევედით ამხ. კოსტას რჩევით ტყვიანჭრეველები აუგილზე დავდგით. შევეუდექით მზადებას.

გავგაგებინეს, რომ ჩვენს მივებზე ოსების ბანდებია ყოფილან და გარს გვერტყმიან. ამის გამო მოვუყარეთ თავი მცხოვრებლებს, რის შემდეგ წამოვედით უკან თორმეტ ვერსამდე. მეორე დღით მო-

ვიდა ცნობა გორიდან რომ ჩვენი გვარდია უნდა გამგზავრებულიყო აწყურში, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი, მეორე საღამოთი სოფელ დვირში დავბინავდით, ვივანშქეთ. ღამის 12 საათი იქნებოდა, რომ მოვიდა დეპეშა ხაშურის დან: ოსიაურში ბოლშევიკური ბანდების გამოსვლა და ხალხის დარბევა დაწყესო. შევლას გთხვდენ. ხაშურის გვარდიაც დვირში იდგა.

სოფ. დვირიდან სასწრაფოდ დილით ბორჯომში ჩამოვედით, ხალო დილითვე საათის 9-ზე ჩავედით ხაშურში და ჩვენი მისია ერთ კვირაში მოვითავეთ: იარაღი თითქმის ყველა ბოლშევიკებს ავყარეთ, და ბოლოს უკან უნდა წავსულიყავით. ამ დროს გორიდან მოგვივიდა დეპეშა, რომ ცხინვალს უნდა მიეშველოათო.

ჩვენც იქითკენ გავსწიეთ. ცხინვალში წასვლა უკანასკნელი იყო ამხ. გიორგი თაყნიაშვილისთვის. ის იქ ოსების ნასტრაჟნიკალ „ბოლშევიკების“ ტყვიამ სამუდამოთ გამოასალმა ამხანაგებს. პირველი მსხვერპლი გიორგი იყო, მას მიყვა ამხ. გიორგი ძაჩაბელი, კოსტა გასიშვილი, კობერიძე, მალიავეი, სანდრო კეცხოველი და სხვები და აქვე დაიჭრა ამხ. მამულაიშვილი. ცხინვალის ოპერაციების შემდეგ ჩვენ მოგვიხდა ისევ აწყურში წასვლა სერკერბეგის ბანდებთან საბრძოლველად.

ამხ. ქრისტეფორე დაჭრილი წამოვიდა ჩვენთან, ჩვენ უარი ვუთხარით, მაგრამ თვითონ არ დაგვიჯერა. და ამხ. ქრისტეფორეს წამოსვლა როგორც თაყნიაშვილის ცხინვალში, უკანასკნელი გახდა ამხ. ქრისტეფორესთვისაც. აწყურის მთებში, ქრისტეფორემ და ოფიცერმა რობაქიძემ ერთად დალაეს სული.

ასეთია ამ ორი ამხანაგის მოკლე, მაგრამ შინაარსიანი თავგადასავალი...

ბევრია ასეთი ამხანაგები დავიწყებული, მაგრამ მიზეზი თვითონ კარკათ იციან. ჯერ მათი ნაანდერძევა საქმეები უნდა ბოლომდის მივიყვანოთ და გამარჯვებული საქართველოს დემოკრატია წითელი დროშით მათ საფლავებზე იდღესასწაულებს საბოლოო გამაჯვებას.

დღეს კი, მესამე წლის თავზე ჩვენ ვგონებთ ძვირუას ამხანაგებს.

ამხ. მინდობ. ტანჯული მუშა.





კმათა სასაფლაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა


საშურის სახალხო გვარდიელები, რომელნიც ბრძოლის ველზე გმირულათ
დაიხრცნენ.




ლეონტი ალექსანდრ. მებრეველი.
დბოს მუშა. მოკლულ იქნა 26 დე-
კემბერს 1918 წ. შულავერში.



ალექსანდრე თადეოსის-ძე სირაძე.
ხელოსანი. მოკლეს შულავერში
26 დეკემბერს 1916 წ.



ალექსანდრე კოტ. დარსაველიძე.
მუშა. მოკლეს შულავერში 26 დე-
კემბერს 1918 წ.



იაშა (ილია) ალექ. ცქიტისვილი.
მოხელე. მოკლეს შულავერში
26 დეკემბერს 1928 წ.



ნიკოლოზ გრიგოლის-ძე აბაიძე.
ხელოსანი. მოკლულ იქნა შულა-
ვერში 26 დეკემბერს 1918 წ



ივანე მიხეილის ძე მშვიდლობაძე.
რკინისგზელი, მოკლული იქნა შუ-
ლავერის ბრძოლაში 26 დეკ. 1918 წ.



ვლადიმერ ალექს. ჩაფრაძე.
რკინისგზ. მოხ. მოკლეს შულავე-
რში. 26 დეკ. 1918 წ.



არჩილ თედორეს ძე კურტანიძე.
სოფლის მუშა. შულავერის ბრძო-
ლაში მოკლული 26 დეკ. 1918 წ.



ვარლამ სპირიძე. შერაზადაშვილი
სოფლის მუშა. თავისი ნებით გაპ-
ყვა გვარდიას შულავერში და გმი-
რულად მოკლ. იქმნა 26 დეკ. 1918

12 დეკემბერი

„ისევ შენ და ისევ შენ“
ჩემო გვარდიელო...
სადღეგრძელოს შენსას სმენ
კახო და მთიელო.
იმერეთი ვარდს გიძღვის,
გურია კრიანჭულს...
კარგი საქმე მიგიძღვის:
იცავ ერს დატანჯულს.
სამეგრელო ხელს გიწვდის,
ფშავ-ხევსური ხმალსა...
ძმობის დროშა წინ გიძღვის,
წმინდათ იხდი ვალსა.
სალამი შენ, სალამი,
ვაშა და დიდება!
შენის მარჯვენით სამშობლო
სცოცხლობს და მკვიდრდება!

დ. მეჩონგურე.

გვარდიის და ჯარს

I

სალამი!
მიგილოცავთ მეგობრებო,
ბრძოლის ველზე ახალ წელსა,
და გისურვებთ გამარჯვებას;
ერის შვილნო, მრავალ წელსა...

ნეტარება ჩვენს სამშობლოს;
ნეტარება ტურფა მდელოს,
გაუმარჯოს გმირთა გმირებს,
გაუმარჯოს საქართველოს!..

II

სანამდის მიძგერს გმირულად გული,
სანამ გავყურებ სამშობლოს მთებსა,—
მანამ ვიბრძოლებ, მტარვალს შეუტევ;
არ გავეჭვები არას დროს მტერსა...

მე თუ გინდ მოვკდებრძოლისა ველზე
თავის გაწიროვით დაგზრე თვით ერში
ვინც მტრებთან ბრძოლას გამოეპაროს,
კრულ იყოს მისი სახელი ძმებში.

ტანჯული მუშა.

ღელის დარღვევა

თუ გიყვარს, შვილო, შენი ქვეყანა,
შენი ოჯახი და შენი კერა,
თუ სულით არ ხარ მონა, ლაჩარი,
არ გაგყინვია ეგ გულის ძგერა.

თუ გიყვარს, შვილო, ეგ ძუძუები,
პატარობისას რომ გაწოვებდი
თუ გიყვარს შენი თავისუფლება,
განტერვსებს სამშობლოს ბედი,

მაშინ უდრეკათ, წარბ შეუხრელოთ —
ფარ-ხმალს მოკიდე, რკინის მარჯვენი!
და შემოსეულ მტრისგან, ჭირიმე
იხსენ აღმზრდელი სამშობლო შენი!

ლაჩრულ სიცოცხლეს გერჩიოს, შვილო,
სახელოვანი ერთხელ სიკვდილი!..
არ დამიბრუნდე ბრძოლის ველიდან
დალაჩრებული, ღონე მიხდილი!..

გასწი, გაფრინდი ბრძოლის ველისკენ
ფხიზლათ ადევნე მტრის ლაშქარს თვალი,
დამარცხებული არ დამენახო,
არ დამიბრძავეო შენს დედას თვალი!..

არ შეარცხვინო ჩემი ჭაღარა,
მტერს შეებრძოლე მამაცურათა,
წინ ჩემი ლოცვა ლამპრათ გიძლოდეს
თავ-დაცვის გრძნობა კიდევ ფარათა!

მტკიცეთ იყავი სადარაჯოზე,
არ დაიშურო ძალი და ღონე,
არ უღალატო მოძმეს, გვერდში მდგომს,
შენი გმირობა აქ გამაგონე!..

და როს გიხილავ, ჩემო სიცოცხლევ,
გამარჯვებულსა ერის ნადიმზე
მაშინ ამაყი შენი სახელით
გეამბორები, მიგიკრავ გულზე.

დ. ჭანჭათელი.


მიწის რეფორმა საქართველოში.

წერა ილია I-ლი.

ერთი უდიდესი საკითხი, რომელიც წარმო-
შვა რუსეთის ცხოვრებამ მე-XIX საუკუნეში—
ეს არის აგრარული ანუ მიწის საკითხი. გა-
სული საუკუნის ორმოციან წლების გლეხების
აჯანყებებმა რუსეთის მაშინდელი მეფე იძუ-
ლებული გახადა გაენთავისუფლებია გლეხები
19 თებერვალს 1861 წ. ბატონყმობისაგან.
ამ აქტით საშინლათ მოატყუეს გლეხობა: მათ
დაუტოვეს უვარგისი მიწები, მერე ბევრათ
უფრო ცოტა მასზე, რაც მათ ეჭირათ ბატონ-

ყმობის დროს და მასთანავე გლეხობას უნ-
და გამოესყიდათ მიწები. ეს მიწე-
ბი ამრიგათ გლეხობა დაარჩა უმარჯულ-
და მიწები ისევ თავად-ახნაურების ხელში
დარჩა. 70-იან წლებში ისევ გაისმა ხმა უკმა-
ყოფილებისა. „მიწა და თავისუფლება“—
აი გლეხობის გულის სიღრმიდან ამოხეთქილი
მოთხოვნა. ეს მოთხოვნა იმდენათ ძლიე-
რი და დიდ მნიშვნელოვანი იყო, რომ მიწის
საკითხის ასე თუ ისე გადაჭრას ეჭირა და
დღესაც უჭირავს უმთავრესი ალაგი ყველა
პარტიების პროგრამებში. თვით ძველმა მთა-
ვრობამ წამოაყენა რამდენიმე ზომა მიწის
საკითხის მოსაგვარებლად. ის ამბობდა, რომ
მიწები გამოყიდული უნდა იყოს (ის მიწები,
რომლის გაყიდვას მოისურვებენ თვით მე-
მამულეები) „საგლეხო ბანკის“ საშუალებით
(ე. ი. გლეხების მიერ); ან გლეხობა უნდა
აიღოს იჯარით სახელმწიფო და საუფლისწუ-
ლო მიწები და თუ ესეც არ უშველის—გადა-
სახლდენ ციმბირში და სხვაგან. მთავრობის
ამ ზომებიდან აშკარათ გამოსჭვივის ერთი
რაი: მისი მიზანი იყო დაეცვა მემამულეთა
კლასი და კიდევ მოეტყუებია გლეხობა. ყვე-
ლასათვის ნათელი იყო, რომ მთავრობა ვერ
გადასჭრიდა ცხოვრების მიერ უკვე პირველ
რიგში დაყენებულ მიწის საკითხს. საჭირო
იყო სხვა ზომა, სხვა პროგრამა და ასეთები
კი წამოაყენეს სხვა და სხვა პარტიებმა. რუ-
სეთის კადეტების პარტიამ (ჩვენში ეროვნულ
დემოკრატებმა) მოითხოვეს მიწების გამოსყი-
დვა „სამართლიან ფასებში“. ამ პარტიამ
მოინდომა: მიწებში ფულას გაღებით
მოემადრიელებია მემამულეები და ფულების
ხაზინიდან გაღებით—გლეხობის გული მოეგო.
მაგრამ გლეხობა ეხლა უკვე აღარ სტყუე-
დებოდა და აგრარული მოძრაობა თანდათან
ვითარდებოდა, ძლიერდებოდა და მთელი მი-
წების უფასო ჩამორთმევას მოითხოვდა. 70-
იან—80-იან წლებში წარმოიშვა რუსეთში
ორი უდიდესი სოციალისტური პარტია, რომ-
ლებმაც შეიმუშავეს თავის პროგრამაში გარ-
კვეული აზრი და სამოქმედო გეგმა. სახელ-
მწიფო, საუფლისწულო, სამონასტრო და
მსხვილი და საშუალო მემამულეების მიწების
ჩამორთმევის ფორმაში მათ შორის სრული
თანხმობა დამყარდა ბოლოს დროს. იმათმა
წარმოაყენეს ხსენებული მიწების კონფისკა-
ცია, ე. ი. მიწების უსასყიდლოთ ჩამორთმევა;
აქედან ნათლათ სჩანს, რომ გლეხობის ინტე-
რესების დასაცველად გამოადიოდენ სოციალის-
ტური პარტიები სოციალისტების მიზანი იყო
და არის დაბეზრებული ხალხის დაცვა, მისი
მისწრაფებების და მიზნების განხორციელები-
სათვის ბრძოლა. მიწების კონფისკაცია—
ათი ლოზუნგი, მათი მისწრაფება. ასე სწყვეტ-
დენ მიწის საკითხს ყველა ის პარტიები, რომ-
ლებიც ხელმძღვანელობდენ ხალხის ინტერე-
სებით, აქედან გამომდინარეობდენ და ამისა-
კენ მიილტვიდენ.

მაგრამ ამით კიდევ არ იყო გადაჭრილი ეს
ბუმბერაზი საკითხი. მ წების იძულებითი უფა-
სო ჩამორთმევა სწყვეტდა საკითხის მხოლოდ
ერთ ნაწილს. უფრო თავსამტკრევი შეიქნა
ხალხის მეორე ნაწილი, ე. ი. რა სახით, რა



ფორმით და როგორ გადაეცათ მიწები გლეხებს? მიწა კერძო საკუთრებათ უნდა გადაეცემოდა გლეხობას თუ ეს მიწები უნდა გადასულიყო საზოგადოებების, ამხანაგობების, თემების თუ ადგილობრივ დემოკრატიული თვითმართველობების ხელში?

მანჯელი.

(შემდეგი იქნება).

ჯარისკაცის წერილი

„სახალხო გვარდიის“ რედაქციას.

მეგობრებო!
სიხარულით გული ამევსო, როცა თქვენი ჟურნალი მივიღე პოზიციაზე.
მე დიდი ნასწავლი კაცი არა ვარ, უბრალო სოფლელი ვარ და კითხვა ძლივს ვიცი, მარა თქვენი ჟურნალი გადავიკითხე, ისე რომ არც ერთი წერილი არ გამომიტოვებია...
ჩვენი დრო მართლა ცუდია და დიდი გაჭირვება ადგია ჩვენ საწყალ ხალხს... ბევრი ეჭვები და ათასგვარი ცუდი ხმები ვრცელდება ჩვენში და ასეთ დროს მართალი სიტყვა და ნამდვილი ამბავი დიდად საჭიროა ჩვენი ხალხისათვის და განსაკუთრებით ჩვენთვის...
თქვენმა ჟურნალმა ჩვენს ამხანაგებში გატაცება გამოიწვია... ყველგან კითხულობდენ, ათვლიერებდენ სურათებს...
ბევრი ტანჯვა გადახდა თავს ჩვენს ქვეყანას, ხოლო იმედები კიდევ უფრო ძლიერდებოდნენ ჩვენ შორის, როცა თბილი გრძნობით სალამს და კარგს ყოფნას გვიძღვნიდა თქვენი ჟურნალი...
ჩვენ დიდი ინტერესით წავიკითხეთ პატივცემული ვ. ჯუღელის მოგონება... მოხუცი ს. ჯიბლაძის „კაი დღე“ და სხვა წერილები.
ჩვენ ყოველგვარ გიჭირვებას ავიტანთ... წინეთ, მაშინ, როცა ჩვენ კარგათ არ ვიცოდით საქმის ვითარება, გვატყუებდენ. ეხლა მადლობა ღმერთს, ჩვენში ყველა გაგებულა, ყველამ გაიგო რაშია საქმე და ვერვინ შეგვაცდენს...
ეხლა მაცდურიც არავინაა ჩვენ შორის... ან კი როგორ შეიძლება ეხლა მოლაპლატე გამოგვერიოს...
ჩვენ დარწმუნებული ვართ—ჩვენს მართალ საქმეში და ჩვენს ღრმა პატივისცემას, საყვარულს ერთმანეთში ველარავინ წაშლის...
ნუ დავვიწყებთ... გამოგვიგზავნეთ უფასოთ თქვენი ჟურნალი, თქვენი თბილი სიტყვა, გულწრფელი გამარჯვება...

ჩვენ ავასრულებთ ჩვენი ქვეყნის მძიმე დავალებას თქვენთან ერთად, თქვენი შემწეობით...

დიდება თქვენს მოღვაწეობას...
სალამი ჩვენგან პოზიციაზე მყოფ ჯარისკაცებისაგან.
ამხ. მონდობილებით
ჯარისკაცი პ. მუ—ძე.

12 დეკემბერი ჯავშნოსან საავტომობილო სატანკო დივიზიონში.

12 დეკემბერი ქართველი დემოკრატიის საღვთადად სწავლით დღეა.
12 დეკემბერს, იშვა რევოლიუციის საზოდგან ჩვენი წითელი გვარდია, შემდეგ სახალხოდ წოდებული.
ჩვენი ჯავშნიან-საავტომობილო-სატანკო დივიზიონიც 12 დეკემბერმა წარმოიშვა. პირველათ მოტოციკლეტთა პატარა რაზმი იყო, მერე ვახდა ჯავშნოსან საავტომობილო გუნდი, და ბოლოს ჯავშნოსან-საავტომობილო-სატანკო დივიზიონი.
როგორც საქართველოს სახელი თანდათანობით იზრდება და მაგრდება, ისე ჩვენი პატარა რაზმი გაიზარდა და გადიდა.
ჩვენმა ამხანაგებმაც როცა კულტურული მუშაობა დაიწყო, ჩვენი დივიზიონის სამკითხველს „12 დეკემბერი“ უწოდეს, და დღეს ჩვენ ვაკვს, 12 დეკემბერის ბიბლიოთეკა-სამკითხველო.“
ეს დღე ყველასათვის დიდია, მაგრამ ჩვენი დივიზიონისთვის ყველაზე დიდად მნიშვნელოვანია, და ეს დღე ჩვენმა დივიზიონმა თავიდანვე საკუთარ უქმეთ გაიხადა.
12 დეკემბერი იღვრასწავლა ჩვენმა დივიზიონმა.
ღვრასწავლს დაესწრენ: საყვარელი ვალიკო ჯუღელი და ალექსანდრე დგაბუაძე, იუსტიციის მინისტრი არსენიძე, ნესტორ კალანდაძე და სხვები. მასთან იყვნენ საავიაციო ნაწილიდან და ჯავშნოსან საავტომობილო გუნდის არმიიდან და სხვა და სხვა.
ღვრასწავლმა სალამოს 7 საათამდე გასტანა. ყველა მხიარულათ დაიშალა.
საწყალი მუშა.

12 დეკემბრის დღესასწაული.

საქართველოში სახალხო გვარდიის შესამე წლის დღესასწაული ხალხმა დიდი ზემოთ გადაიხადა. არც ერთი კუთხე და შორეული სოფლები არ დარჩენილან, რომ მონაწილეობა არ მიეღონ.
სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს მოდის აუარებელი მილოცვები. რომელიც მოთავსებული იქნება თანდათანობით.
აბაშა. მოგილოცავთ გვარდიის დაარსების შესამე წლის თავის ბრწყინვალე დღესასწაულს.
აბაშის შტაბი.

Изъ фрокта. Третья годовщина ясно свидетельствуетъ, какъ сильна и надежная сила нашей республиканской Гвардія. Подъ руководствомъ главнаго штаба, она не разъ еще докажетъ какъ лучшіе граждане выполняютъ свой долгъ передъ своимъ народомъ. Прошу принять искреннія пожеланія успѣха въ будущемъ какъ и въ прошломъ. Джиджишхія.

გალი. სამურზაყანოს მაზრის სახალხო გვარდიის ყრილობა, შემდგარი ამა წლის 12 დეკემბერს საქართველოს სახალხო გვარდიის დღის აღსანიშნავათ, მოგესალმებათ თქვენ, მთავარ ხელმძღვანელ აბანაგებს. გისურვებთ მედგარ და ნაყოფიერ მუშაობას საერთაშორისო დემოკრატიისთვის. ყრილობას სწამს რომ საქართველოს დემოკრატია გაიმარჯვებს.

სამურზაყანოს მაზრის გვარდია, როგორც ნაწილი საქართველოს სახალხო გვარდიისა, ფიცსა სდებს თქვენს წინაშე წმინდათ და პირნათლად შეასრულოს წმიდა მოვალეობა და დაიცვას ჩვენი ქვეყანა მტრისგანა.

მიიღეთ ძმური და მხურვალე სალამი.


Тифлисъ. „Вольный Горецъ“ отъ имени демократіи горскихъ народовъ Сѣвернаго Кавказа привѣтствуетъ Народную Гвардію Грузіи съ знаменательной годовщиной 12-го декабря. Придушенная сапогомъ русскаго красноармейца демократія горскихъ народовъ Сѣвернаго Кавказа отъ чистаго сердца шлетъ свой привѣтъ Народной Гвардіи Грузіи и желаетъ ей успѣха въ дѣлѣ охраны завоеваніи революціи на территоріи Грузинской Республики отъ посягательствъ всякихъ враждебныхъ силъ—откуда бы эти посягательства не исходили. Душимые Совѣтросіей привѣтствуютъ живыхъ.

Редакція газ. „Вольный Горецъ“.

სამხრეთის ფრონტიდან. სახელოვან სახალხო გვარდიის აღმოცენების სამის წლის თავს თქვენთან ერთად ზეიმობს და დღესასწაულობს მესამე ქვეითა ბრიგადა მთელი შემადგენლობით, გისურვებთ ჩვენი სამშალოს საკეთილდღეოთ ბედნიერებას და მტერზე გამარჯვებას. ვიმედოვნებთ, რომ როგორც დღემდე, ისე შემდეგ ჩვენი სახელოვანი გვარდია განაგრძობს მტერთან მამაცურათ ბრძოლას და საშუალებას არ მისცემს ჩვენს მოსახლე მტერს ბინძური ხელი წაუპოტინოს ჩვენს კოპწია სამშაბლოს. იცოცხლოს ჩვენმა საქართველომ!
გაუმარჯოს მის დამცველ ხალხის გულიდან ამონახეთქ სახალხო გვარდიას!
გაუმარჯოს მის ბელადებს!
გაუმარჯოს მის წინამძღოლთ!
მზათა ვართ თქვენთან ერთად მხვერპლათ შეეწიროთ ჩვენი სიცოცხლე თავისუფალ საქართველოს.

გენერალი წულუკიძე.

გაუმარჯოს სახალხო გვარდიას და ახალგაზრდა ჯარს!



ჭამუხ. Общество офицеровъ и всадники ввѣреннаго мнѣ дивизіона въ лицѣ вашемъ поздравляемъ героическую Народную Гвардію Республики Грузіи съ гвардейскимъ праздникомъ. Мы увѣрены, что славная Гвардія, какъ и всегда, будетъ стоять на стражѣ защиты дорогой намъ всѣмъ Родины. Мы всѣ влияемся передъ своими братьями въ минуту трудную не щадить свою жизнь и вмѣстѣ съ ней отстаивать суверенныхъ правъ Грузіи

Грузинско-мусульманскаго дивизіона командиръ *полковникъ Мачлбели.*

სიღნაღი. სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა გილოცავთ სახალხო გვარდიის სამი წლის თავის შესრულების დღესასწაულს, უსურვებთ სახელოვან გვარდიას ხანგრძლივ სიცოცხლეს და გამარჯვებას.

საერობო გამგეობა.

ბანძა. გილოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულს. ფიცს ვდებთ თქვენს წინაშე, რომ ყოველივე ჩვენი ენერჯით თქვენთან ვიქნეთ.

გაუმარჯოს ფრონტს და მის დამცველ გვარდიას!

ბანძის შტაბი.

სიღნაღი. ქალაქ სიღნაღის თვითმართვლობა გილოცავთ გვარდიის დღესასწაულს. გისურვებთ გამარჯვებას.

გამგეობა.

ნაქალაქევი. ნაქალაქევის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია მხურვალედ ვესალმებით რევოლიუციის პირმშო სახალხო გვარდიას. უსურვებთ კვლავინდებურგაორკიცებულ სიმტკიცეს.

კოლექტივი.

სოფ. საბუე. 12 დეკემბერს გამართულ მიტინგი სოფელი საბუის მცხოვრებლები მოგესალმებათ თქვენ და თქვენი სახით მთელ სახალხო გვარდიას. ჩვენი ქვეყნის ბედი სახალხო გვარდიის თავგანწირულ ბრძოლითაა გამოქვედილი და გისურვებთ საბოლოო გამარჯვებას.

მიტინგის თავმჯდომარე **ჯორჯაძე.**

ხაშური. ხაშურის მშრომელთა და გვარდიელთა მიტინგი ითვალისწინებს რა

საერთო მდგომარეობას რესპუბლიკისას, აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის საზღვრებზე კვლავ საქიროა ფარხმალ ასხმული სახალხო გვარდია და ჯარის მტკიცე და შეურყეველი ყოფნა. სახალხო გვარდიას, რომელმაც თორმეტი დეკემბრის მოქმედებით საძირკველი ჩაუყარა საქართველოს თავისუფლების განმტკიცებას, ღრმა რწმენით და შეგნებით მალა ექნება აღმართული თავისუფლების დროშა და არ დასტოვებს იმ გზას, რომელსაც მიყავს საქართველოს რესპუბლიკა დემოკრატიული გზით სოციალიზმისაკენ.

დღევანდელ დღეს, დღეს საერთო ზეიმისას, მივესალმებით რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს და ფიცს ვდებთ რომ ჩვენ, როგორც ყოველთვის, დღესაც მზათა ვართ ჩვენი თავი შევსწიროთ თავისუფლების სამსხვერბლოს.

მიტინგის თავმჯდომარე **ბაბლიძე.**

ოზურგეთი. ოზურგეთისა და მახლობელ თემების მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი ზეიმით იხდის სახალხო გვარდიის არსებობის სამი წლის თავს, მხურვალედ მიესალმება ბრძოლის ველზე საღვთადსავით მდგარ ღრამ გვირ გვარდიას და უსურვებს მას მოზღვავებულ მტრებზე გამარჯვებას.

მიტინგზე შეკრებილი მოქალაქენი მზათა ყოველ მხრივ დაეხმარონ მას მის არაჩვეულებრივ ისტორიულ მისიის შესრულებაში.

მიტინგის თავმჯდ. **მიხა საბაშვილი.**

ფრონტიდან. ფრონტზე მყოფი სახალხო გვარდია გილოცავთ 12 დეკემბერის დღესასწაულს. ვიმედოვნებთ, რომ მომავალ წელს რესპუბლიკის საზღვრები მტკიცეთ იქნება დაცული სახალხო გვარდიის მიერ.

სალირაშვილი ხიმშიაშვილი.

საჩხერე. საჩხერეში გვარდიის დღესასწაულის აღსანიშნავად შეკრებილი მრავალრიცხოვანი მიტინგი მხურვალე სალაშს უძღვნის თავისუფლების დამცველ

ფრონტზე მყოფ ჯარსა და გვარდიას, მთავარ შტაბს, მთავრობას და დამფუძნებელ კრებას და აღუთქვამს რომ მთელი ხალხი მათთან იქნება რევოლიუციონურ მონაპოვარის დაცვაში.

მიტინგის თავმჯდომარე **კაპანაძე.**

თერჯოლა მიტინგი 12 დეკემბრის აღსანიშნავათ შეკრებილი მხურვალედ მიესალმება სახალხო გვარდიას და უსურვებს გამარჯვებას სამშობლოს დაცვაში და აგრეთვე ყველა მის დასახულ მიზნების განხორციელებაში.

მიტინგის თავმჯდომარე **ვ. მაკარიძე.**

ღვ. ფრონტა. Поздравляемъ съ торжественнымъ Днемъ Народной Гвардіи. Въ сложную и отвѣтственную минуту наша Родина, всѣ свои взоры обращаетъ на своихъ героевъ защитниковъ народно-гвардейцевъ и Арміи. Въ торжественный день Народной Гвардіи дадимъ клятву до послѣдней капли крови защищать нашу республику и свободу, а мы побѣдимъ. Да здравствуетъ Народная Гвардія и Армія. 12 декабря 1920 года.

Генер. Обишелидзе.
Генер. Иосифъ Гедеванишвили.
Генер. Сумбатовъ.

დიდი ჯიხიაში. 12 დეკემბერს დიდი ჯიხიაშის სახალხო მიტინგმა მოისმინა მოხსენება გვარდიის მნიშვნელობაზე და მომენტზე. დაადგინა მოგისალმოს თქვენ, ერის გულშემატკივარო. და გაგიწიოს ყოველგვარი დახმარება დემოკრატიის საკეთილდღეოდ.

მიტინგის თავმჯდომარე **ლ. ჩილაძე.**

შემდეგი იქნება

რედაქტორი — **სარედაქციო კოლეგია**
გამომცემელი — **სახ. გვ. მთავარი შტაბის კულტურულ-გამანათლებელი სექცია.**

„სახალხო გვარდიელი“

ჯერ-ჯერობით ჟურნალი „სახალხო გვარდიელი“ გამოდის თვეში ორხელ. ჟურნალში მოთავსებული იქნება სოციალისტური, პოლიტიკური და მეცნიერული ხასიათის წერილები; ისტორიული ცნობები სახალხო გვარდიის მოძრაობიდან; მხატვრული ნაწარმოებები; ოფიციალური ცნობები მთავარი შტაბისა; ომებში დაღუპულ მებრძოლთა სურათები და ბიოგრაფიები და სხვა და სხვა.

ჟურნალის №-ი ეღირება 50 მანეთი. გამ-ვა ყოველი თვის 1-ს და 15-ს. გამოგზავნილი მასალები პროვინციებიდან უნდა შემოწმებული იქნას ადგილობრივი შტაბების სექციებისაგან.

წერილები და ფული გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: **თფილისი, მთავარი შტაბის კულტურული სექცია.**

სახელმწიფო სტამბა.